ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი — კვირა, 3 — 4 დეკემბერი, 2016 | №287 (7212) | ფასი: 50 თეთრი

## გიორგი ქადაგიძე: „მთელი მოსახლეობა გადაიხდის ბიუჯეტში იმ დანაკლისს, რომელსაც ეს კომპანიები აღარ გადაიხდიან“

გვ.2




# მიხეილ დუნდუა: „1 დეკემბერი თიბისის და საქართველოს ბანკის სირცხვილია“



გვ.5

„არ შეიძლება, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად ავირჩიოთ კიკორია და მესტვირიშვილი“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „მთავრობას ვადას 5 დეკემბრამდე ვაძლევთ“



გვ.2

არასამთავრობოები ქუჩის აქციებით იმუქრებიან „ახალი საქართველო“ მთავრობის ეკონომიკური გუნდის გადადგომას ითხოვს



გვ.6

## „ეროვნულმა ბანკმა სუსტი ლარის პოლიტიკა აირჩია“

ალექსანდრე თვალჭრელიძე საწვავზე აქციზის გაზრდას მხარს არ უჭერს

## სოსო შატბერაშვილი: „ჩემმა შვილმა ონლაინსესხი რომ ვერ დაფარა, კომპანიამ პრეტენზია მე წამომიყენა“

გვ.6



რატომ უნდა აიკრძალოს ონლაინსესხები

## ბოკერიას დაჯგუფებას ნაცმოძრაობიდან გარიცხავენ?

გვ.3

სააკაშვილმა ფულის შეგროვება დაიწყო





ISSN 1987-9385

გვ.4

## ხათუნა ლაგაზიძე: „ხელისუფლების მთავარი კოზირი ძლიერი ოპოზიციის არარსებობაა“



გვ.4

## გურჯაანის მაჟორიტარის ოჯახმა და ბიზნესპარტნიორებმა „ქართული ოცნება“ 290.000 ლარით დააფინანსეს

შორენა მარსაგიშვილი

# ლაშა ჩხარტიშვილი: „მთავრობას ვადას 5 დეკემბრამდე ვაძლევთ“

## არასამთავრობოები ქუჩის აქციებით იმუქრებიან

**მომავალი კვირიდან საქართველოში საპროტესტო აქციები იწყება. არასამთავრობოები და ოპოზიციის ნაწილი მთავრობის ეკონომიკური გუნდის გადადგომას ითხოვს.**

კერძოდ, „სამოქალაქო პლატფორმა ახალი საქართველო“ მთავრობას ორკვირიან ვადას აძლევს, რათა ხელისუფლებამ გადადგას ქმედითი ნაბიჯები და გამოიყვანოს ქვეყანა ეკონომიკური კრიზისიდან. თუ ეს გეგმა არ იქნება და ეკონომიკური გუნდი არ გადადგება, პარტია სამთავრობო დაწესებულებების პიკეტირებას დაიწყებს.

„ახალ საქართველოში“ იმედი აქვთ, რომ მათ აქციებს დანარჩენი ოპოზიციაც შეუერთდება.

ოპოზიციასთან კონსულტაციებს დამოუკიდებლად აწარმოებენ არასამთავრობოები. დემოკრატიული ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ლაშა ჩხარტიშვილმა უკვე დააანონსა აქციების დაწყების თარიღი.

რა შემთხვევაში დაიწყებენ ისინი აქციებს და ვისთან ერთად გამოვლენ ქუჩაში? — ამ თემაზე ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***— ლაშა, თქვენ სოციალური ქსელით დააანონსეთ საპროტესტო აქცია და ხელისუფლებას 5 დეკემბრამდე წაუყენეთ ულტიმატუმი. თქვენ გარდა, კიდევ აპირებს ვინმე ამ აქციაში მონაწილეობის მიღებას?***

— ბოლო დროს ეროვნული ვალუტა მკვეთრად გაუფასურდა. ამ პროცესის შესაჩერებლად ხელისუფლება არაფერს აკეთებს. ამიტომაც გადავწყვიტეთ მე და ჩემმა მეგობრებმა, გამოგვეფხიზლებინა მთავრობა, რომელიც რეალობას მოწყვეტილია. ისინი რატომღაც თვლიან, რომ ამომრჩეველთან ყველაფერი გაუვათ და არხეინად აგრძელებენ ჯიბეების გასქელებას.

იმ დროს, როცა ხალხი მშიერია, ისინი დანამატებსა და პრემიებს იწერენ. დაბალი დონის ჩინოვნიკებს მართლა ეკუთვნით პრემია. შავ სამუშაოებს ძირითადად ისინი ასრულებენ, პრემიებს კი იშვიათად იღებენ. მაღალი თანამდებობის პირები კი დაუმსახურებლად მაღალ პრემიებს იწერენ.

ამ დღეებში გამოქვეყნდა ინფორმაცია, სადაც ვნახეთ, რომ მაღალჩინოსნების პრემიებმა და დანამატებმა რამდენიმე მილიონი შეადგინა. ამ უმსგავსობას ბოლო უნდა მოეღოს. მე თუ მკითხავთ, მაღალი და საშუალო რანგის მოხელეებზე პრემია-დანამატების გაცემა საერთოდ უნდა აიკრძალოს — მათ ისედაც მაღალი შემოსავალი აქვთ.

ასევე უნდა შემცირდეს ადმინისტრაციული ხარჯები. არც ძვირადღირებული ავტომანქანების შეძენა უნდა მოხდეს. სხვა ღონისძიებებთან ერთად, ეს ლარის გამყარებას ხელს შეუწყობს. ხელისუფლება ამ მიმართულებით არაფერს აკეთებს.

***— საწვავსა და სიგარეტზე აქციზის გაზრდას ღონისძიებად არ უთვლით?***

— ამ თემაზე ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები არის ცინიზმის მწვერვალი. ისინი გვეუბნებიან, რომ თურმე ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნავენ. იმედია, ისე არ გააძვირებენ საწვავს, რომ ქვეყანა შუა საუკუნეების ხანაში გადავარდეს. საწვავის გაძვირება ვერც ეკოლოგიურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

ხელისუფლებამ საწვავის გაძვირებაზე საუბარს თავი უნდა დაანებოს, ტექნიკური დათვალიერებებისთვის მოემზადოს და ხალხს ავტოპარკის გადახალისებაში დაეხმაროს.

ლარის დასასტაბილურებლად არაერთი მეთოდის გამოყენება შეუძლია ხელისუფლებას. თუ 5 დეკემბერს 6 საათამდე ხელისუფლება არ წარმოადგენს გეგმას, მაშინ აქციებისთვისაც დავიწყებთ სამზადისს. სხვა გამოსავალი, უბრალოდ, აღარ არის. ხელისუფლება უნდა გამოვაფხიზლოთ, რომელიც თავის პოლიტიკურ და ფინანსურ ინტერესებს ხალხის ხარჯზე იკმაყოფილებს. ასევე მიუღებელია ის პრეტენზიები, რომლებიც მათი მხრიდან საბანკო სექტორის მიმართ გაჟღერდა.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ლარის გაუფასურებაში საბანკო სექტორს წვლილი არ მიუძღვის?***

— წვლილი როგორ არ მიუძღვის, ეს სექტორი საქართველოში ყაჩაღურად იქცევა. მისკენ ხელის გაშვერა არის თავის დაცვის უსუსური მცდელობა. უკვე მოძველებულ ახალ ხელისუფლებას თითიც კი არ გაუნძრევია იმისთვის, რომ ყაჩაღებად ქცეული ბანკების თავგასულობა მოეთოკა. არც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის მოუთხოვია ვინმეს პასუხი.

ასე რომ, სხვაგან ხელის გაშვერას თავი დაანებონ, განსაკუთრებით ისეთმა პიროვნებებმა, როგორიც კახა ოქრიაშვილია. უბრალოდ, სასაცილოა, ეს ადამიანი სხვების მონოპოლიზებაზე არ უნდა ლაპარაკობდეს. იმის მაგივრად, რომ პასუხი მოსთხოვონ, ყველა ხელისუფლებას მოერგო და ბაირაღივით გადადის ხელიდან ხელში.

თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბანკებს რეგულაციები არ დაუწესდეს. რეგულაციები სასწრაფოდ უნდა შემოიღონ, ეს ბანკები ზემოგებებზე არიან გადასული. ისინი ხელისუფლებასთან დრაკონული მეთოდებით ურთიერთობენ და ეს ხელისუფლებას მარტო ლარის გაუფასურების დროს არ უნდა გაახსენდეს.

***— მოდით, ისევ აქციას დავუბრუნდეთ, რომელი ორგანიზაციები აპირებთ მის მოწყობას?***

— აქციაზე დასწრება ყველას შეუძლია, მაგრამ დაველოდოთ 5 დეკემბერს. თუ ამ დღეს 6 საათისთვის ხელისუფლება რაღაც კონკრეტულ გეგმას არ წარადგენს, ან ლარი დასტაბილურებას არ დაიწყებს, ამ შემთხვევაში დაიწყება კონსულტაციები სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

***— მარტო არასამთავრობო სექტორზეა საუბარი თუ პოლიტიკურ პარტიებზეც?***

— ჩვენ ყველასთან სათანამშრომლოდ მზად ვართ. ერთადერთი გამონაკლისი არის ნაციონალური მოძრაობა. მის მიმართ ჩემი პოზიცია უცვლელია — ეს არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, დამნაშავეებთან არანაირი კონსულტაცია არ იქნება.

***— „ახალ საქართველოსთან“ თუ ითანამშრომლებთ? მათ ხელისუფლებას ორკვირიანი ვადა მისცეს. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური გუნდი არ გადადგება, ისინი სამთავრობო ობიექტების პიკეტირებას აპირებენ.***

— „ახალ საქართველოსთან“ ახლო შეხება არა მაქვს. სიმართლე რომ გითხრათ, ნაციონალების ნამსხვრევებზე მაღალი წარმოდგენისა არ ვარ. თან ისიც გასარკვევია, ვისთან თანამშრომლობენ ეგენი — ძველ ხელისუფლებასთან, ახალთან თუ ორივესთან ერთად. სხვებთან კი სიამოვნებით ვითანამშრომლებთ.

ორშაბათს, 5 დეკემბერს, ჩვენი მოთხოვნა თუ არ შესრულდა, 8 დეკემბერს სახელმწიფო კანცელარიასთან პირველი გამაფრთხილებელი აქცია გაიმართება. იმედი გვაქვს, ეს აქცია მაინც მოიყვანს გონს. ისინი უკვე ძალიან დაშორდნენ ხალხს.

***— ხელისუფლების წევრების შეფასებებზეც მინდა გკითხოთ. პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური ამბობს, რომ აჟიოტაჟის შექმნაში და ლარის გაუფასურებაში მედიას მიუძღვის წვლილი.***

— ზვიად ძიძიგურის მხრიდან ეს არის ურცხვი და უტიფარი განცხადება. ეს ხელისუფლება ძალიან მიეჩვია ყველაფრის სხვისთვის გადაბრალებას. ისინი იმიტომ დავიქირავეთ და იმიტომ ვუხდით ხელფასს, რომ ქვეყანა განავითარონ. ესენი კი ფუფუნებაში გადავარდნენ და სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრებას იწყობენ. ცივილურ სამყაროში ჩინოვნიკებს ლუკმა-პურის შოვნაზე არ უწევთ ფიქრი, მაგრამ არც მდიდრდებიან. აქ კი ყველაფერი პირიქითაა.



„ახალი საქართველო“ მთავრობის ეკონომიკური გუნდის გადადგომას ითხოვს

# გიორგი ქადაგიძე: „მთელი მოსახლეობა გადაიხდის ბიუჯეტში იმ დანაკლისს, რომელსაც ეს კომპანიები აღარ გადაიხდიან“



საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, გიორგი ქადაგიძე სოციალური ქსელით ეკონომიკის სწრაფი განვითარებისა და ბიუჯეტის დეფიციტის გასანულებლად რეკომენდაციებს იძლევა.

— პატივცემულო ფბ მეგობრებო, რადგან მაინც მიწევს პირად მიმოწერაში ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემა, გადავწყვიტე საჯაროდ დავაფიქსირო ჩემი მოკრძალებული პოზიცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გატარდეს, რომ დავზოგოთ/მოვიძიოთ 1-1,5 მილიარდი ლარი ბიუჯეტის დეფიციტის გასანულებლად და ეკონომიკის სწრაფი განვითარებისთვის.

თემა 1. მოგების გადასახადის გაუქმება (ესტონური მოდელი)

ა. მოგების გადასახადის გაუქმება არ უნდა შეეხოს ფინანსურ (საბანკო, დაზღვევის, მისო-ბი) და ფარმაცევტულ სექტორებს. ეს ინდუსტრიები ისედაც არ იხდიან არანაირ გადასახადს გარდა მოგებისა და მათი საგადასახადო ტვირთი ისედაც მინიმალურია.

ბ. ასევე არ უნდა შეეხოს ბუნებრივ მონოპოლიებს (თელასი, თბილისის წყალი, ენერგო პრო და ა.შ.) ვინაიდან ასეთი კომპანიები არ იმყოფებიან კონკურენტულ გარემოში მოგების მიღების პროცესში.

გ. მით უფრო გაუგებარია ასეთი ინდუსტრიების მოგების გადასახადისგან არიდება საწვავზე და თამბაქოზე აქციზის განაკვეთის ზრდის პარალელურად. გამოდის, რომ მთელი მოსახლეობა გადაიხდის ბიუჯეტში იმ დანაკლისს, რომელსაც ეს კომპანიები აღარ გადაიხდიან.

ასეთი მიდგომა არ არის არც მემარჯვენეობა და არც მემარცხენეობა, უბრალოდ, გაუგებრობაა.

მყისიერი საბიუჯეტო ეფექტი: 150-200 მილიონი ლარი.

p.s. შემდეგი თემა — ჯანდაცვა. სულ 10 თემა იქნება. კომენტარებს და შენიშვნებს ყურადღებით და სიამოვნებით გავეცნობი, — წერს გიორგი ქადაგიძე ფეისბუქის პირად გვერდზე.

მედიანიუსი

# ტუსკი: „საქართველომ ყველა მოთხოვნა შეასრულა“

## კვირიკაშვილი: „ველით, რომ ევროკავშირი ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებს“

— საქართველომ შეასრულა ყველა მოთხოვნა და უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმზე შეთანხმება ევროკავშირის შიდა პრობლემაა.

ამის შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრაზე განაცხადა.

დონალდ ტუსკმა გიორგი კვირიკაშვილს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში დემოკრატიის ნამდვილი წარმატება უწოდა.

— მადლობას მოვახსენებ პრემიერ-მინისტრს, რომლის მთავრობამ ძალ-ღონე არ დაიშურა ასეთი შედეგის უზრუნველსაყოფად. დღევანდელ შეხვედრაზე მე მოვუწოდე პრემიერ-მინისტრს ოპოზიციასა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური დიალოგის გაგრძელებისკენ.

ჩვენ განვიხილეთ საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების საკითხები. მე უდიდეს შეფასებას ვაძლევ საქართველოს ამბიციური რეფორმების გეგმას და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების განხორციელებას, რომელიც ემსახურება საქართველოს კეთილდღეობას და ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებას. ევროკავშირი მომავალშიც გაგიწევთ დახმარებას ამ პროცესში, — განაცხადა ტუსკმა.



ევროსაბჭოს პრეზიდენტმა ასევე მადლიერება გამოთქვა საქართველოს მიმართ, რომელიც მნიშვნელოვანი პარტნიორია აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში.

— იმედის თვალით შევყურებ ჩვენი თანამშრომლობის ფარგლებში საერთო სამომავლო მიზნების დასახვის პროცესს აღმოსავლეთ პარ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბოკერიას დაჯგუფებას ნაცმოძრაობიდან გარიცხავენ?

## სააკაშვილმა ფულის შეგროვება დაიწყო

შორენა მარსაგიშვილი

**მომავალი წლის 20 იანვარს ნაციონალური მოძრაობა ფართომასშტაბიან ყრილობას გამართავს. პარტიის ერთი ნაწილი ახალი თავმჯდომარის არჩევას ითხოვს, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ სანამ მიხეილ სააკაშვილი დევნილობაშია, ეს პოსტი ვაკანტური უნდა იყოს.**



ახალი თავმჯდომარის არჩევას მხარს პარლამენტში შესული ნაციონალები უჭერენ. მათი უმეტესობა პოლიტსაბჭოს წევრია და ისინი ყრილობაზე ახალი თავმჯდომარის არჩევის საკითხს აუცილებლად დააყენებენ.

მათი პარტიული ოპონენტები ამ საკითხის დაბლოკვას ცდილობენ. თუ ისინი საკითხს ვერ დაბლოკავენ, სხვა გეგმაც აქვთ. როგორც „ახალ თაობას“ პარტიასთან დაახლოებულმა პირმა განუცხადა, არ არის გამორიცხული, სააკაშვილის მომხრეებმა პარტიის თავმჯდომარის პოსტზე სანდრა რულოვსის კანდიდატურა წამოაყენონ.

ყრილობამდე პარტიაში ახალ დაპირისპირებებსაც არ გამორიცხავენ. გავრცელებული ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, პარტიიდან ე.წ. ბოკერიას დაჯგუფების წევრები გარიცხონ.

ჩვენი წყარო ამ ინფორმაციას არ ადასტურებს, მაგრამ ამბობს, რომ ეს ხალხი პარტიას თავისთავად ჩამოშორდება.

– ახლა ვინმეს გარიცხვა პარტიას დააზარალებს, ამ ზომას არავინ მიმართავს, მაგრამ ეს ხალხი, ვინც ივანიშვილს მიეყიდა, თავისთავად აღმოჩნდება გარიცხული. ეს კი გარიცხვაზე უარესია, – ამბობს ჩვენი წყარო.

მისივე ინფორმაციით, პარტიის ყრილობაზე ბევრი საინტერესო რამე მოხდება.

– პარტია 7.000-იან ყრილობას გამართავს და აქ პოლიტსაბჭოს ზოგიერთი წევრი თავისას ვეღარ გაიტანს. იმედია, ისიც გაირკვევა, როგორ აღმოჩნდნენ პარტიის პოლიტსაბჭოში მიშა მაჭავარიანის მეზობლები. ამ მეზობლების დახმარებით შეუძლიათ, დღის წესრიგში დააყენონ ახალი თავმჯდომარის არჩევა და ნახავენ, რა პასუხსაც მიიღებენ. ნახავენ, რა მოხდება, სააკაშვილი სკაიპით რომ ჩაერთვება. მერე მივიდნენ და დაამტკიცონ, რომ ბაქრაძე უკეთესი კანდიდატურა იქნება.

ყრილობის შემდეგ ეს ხალხი ბუნებრივად გაირიყება, მაგრამ გარიცხვის საკითხი არ დადგება, რაც, შესაძლოა, იყოს კიდეც ბოკერიას გუნდის ინტერესებში, – აღნიშნავს ნაცმოძრაობასთან დაახლოებული პირი.

პარტიიდან ვინმეს გარიცხვის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არც ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ადასტურებს.

– ჩვენთან გარიცხვა ასე მარტივად არ ხდება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ადამიანები პოლიტსაბჭოს წევრები არიან. სხვა პარტიებისგან განსხვავებით, ჩვენ თანაპარტიელებს ასე იოლად არ ვიმეტებთ. რამდენიმე ადამიანი, რომელიც პარტიის სიით შევიდა პარლამენტში და სააკაშვილის შეცვლას ითხოვს, სულ არ არის ნაციონალური მოძრაობის წევრი. შესაბამისად, მათ ვერც ვერავინ გარიცხავს. ახლა ყველანი ყრილობისთვის ვემზადებით და ბევრი ჭორი გავრცელდება. ყველაფერი 20 იანვარს გაირკვევა, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ყოფილი დეპუტატი.

იმ დროს, როცა ნაცმოძრაობის სხვადასხვა დაჯგუფების წევრები ყრილობისთვის ემზადებიან, მიხეილ სააკაშვილმა სპეციალური ფონდი შექმნა და ფულის შეგროვება დაიწყო.

მის პარტიაში ფინანსურად ძალიან უჭირთ. „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ 2 თვის განმავლობაში პარტიაში ხელფასები ვერ დაარიგეს. სააკაშვილმა ეს ამბავი იცის, მაგრამ ფულს მათი სახელფასო დავალიანების გასასტუმრებლად არ აგროვებს.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, სააკაშვილმა შექმნა სპეციალური ფონდი, რომლის დახმარებითაც ის უკრაინის ზესახელმწიფოდ გადაქცევას აპირებს.

# „ტრამპისთვის აღმოსავლეთ ევროპა და საქართველო შინაური გარემოა“

გავლენიანი ბრიტანული გამოცემა ფაინენშელ ტაიმსი აქვეყნებს მიმომხილველ თომას დე ვაალის სტატიას ამერიკის ახლად არჩეული პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის სავარაუდო პოლიტიკური კურსის შესახებ აღმოსავლეთ ევროპასთან მიმართებაში.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის შემოკლებულ ვერსიას.

* * *

როცა დონალდ ტრამპმა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა, შეშფოთება გამოიხატა, თუ რას ნიშნავს ოლიგარქის არჩევა ქვეყნის მეთაურად აღმოსავლეთ ევროპისათვის. გაჩნდა კითხვებიც: იქნება თუ არა უკრაინა ყველაზე უიღბლო ქვეყანა, თუ დონალდ ტრამპი ვლადიმირ პუტინთან მოილაპარაკებს? როგორ მოგვარდება სირიის საკითხი? უნდა ველოდოთ თუ არა რუსეთისგან ჰიბრიდული ომების მორიგ რაუნდს აღმოსავლეთ უკრაინაში და მსოფლიოს სხვა ადგილებში?

როგორც ჩანს, ახალი ომის სცენარი ნაკლებად სავარაუდოა, რადგანაც ვლადიმირ პუტინი დასავლური სანქციების მოხსნას ცდილობს. შეშფოთების საფუძველს სხვა მოვლენები იძლევა. სანამ დონალდ ტრამპი თეთრი სახლისთვის ბრძოლაში გაიმარჯვებდა, მანამ აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობის დიდი ნაწილი უკვე „ტრამპლანდში“ ცხოვრობდა – ისეთ ქვეყნებში, სადაც ბიზნესი და პოლიტიკა ერთმანეთშია გადახლართულ-შეზრდილი, ანუ იქ, სადაც პოლიტიკა უფრო გარიგებების დადებაში გამოიხატება, ვიდრე ინსტიტუტების შექმნაში.

თუ როგორ ხდება მილიარდერის მოსვლა ხელისუფლებაში, ეს კარგადაა ცნობილი უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს მოქალაქეებისთვის. ამ ქვეყნებს, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, მდიდარი მაგნატები მართავენ.

საქართველოში ბიძინა ივანიშვილის – ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ „ნათლიის“ – ქონება თითქმის 5 მილიარდ დოლარადაა შეფასებული, რაც საქართველოს ყოველწლიური მთლიანი შიდა პროდუქტის მესამედზე მეტია.

მოლდოვაში ქვეყნის ფაქტიურ ხელმძღვანელად ყველაზე მდიდარი ადამიანი ვლადიმირ პლახოტნიკი ითვლება. ბოლო წლებში მოლდოვა რეფორმების გატარების საქმეში „აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონად“ ითვლებოდა. ამ ქვეყანამ, უკრაინა-საქართველოსთან შედარებით, ევროპის კავშირთან უვიზო რეჟიმიც მიიღო. თუმცა 13 ნოემბერს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში მოსახლეობამ ევროპა უარყო და მხარი პრორუსულ სოციალისტ კანდიდატ იგორ დოდონს დაუჭირა.

მართალია, მოლდოვას პრეზიდენტს უფლებამოსილება შეზღუდული აქვს, მაგრამ იგორ დოდონის გამარჯვება მაინც ერთგვარი სიმბოლოს წარმოადგენს. ამგვარი საპროტესტო კენჭისყრის შედეგების მიზეზი ისაა, რომ მოლდოვაში გამეფებული იყო სისტემური კორუფცია, რომელიც ამერიკას და ევროკავშირს „მხედველობიდან გამოეპარათ“ (კორუფციის პიკმა 2015 წელს მიაღწია, როცა ბანკებიდან ერთ მილიარდ დოლარზე მეტი გაქრა, მაღალჩინოსნების მონაწილეობისა თუ მათი უყურადღებობის გამო).

იური ლიანკემ, მოლდოვის მთავრობის მაშინდელმა თავმჯდომარემ, ამ სკანდალზე შეკითხვისას, უმწეოდ გაშალა ხელები და თქვა, „აბა, რა უნდა მექნა, ერთი უბრალო პრემიერ-მინისტრი ვიყავიო“. ეს ნიშნავს, რომ მოლდოვაში რეალური ხელისუფლება ვლადიმირ პლახოტნიკს აქვს.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ კიშინიოვი გეოპოლიტიკურად მოსკოვის ორბიტაზე არ გადავა და ასეთ პირობებში გააგრძელებს ყოფნას, ეს ქვეყანა ევროპის ნაცრისფერ ზონად გადაიქცევა.

უკრაინაშიც ანალოგიური პრობლემაა, მაგრამ უფრო მსხვილი მასშტაბით. პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე შეძლებულ ადამიანად მიიჩნევა. მან ორი წლის განმავლობაში იმდენი რეფორმა წამოიწყო პოლიციის, ენერგეტიკის და სახელმწიფო შესყიდვების სფეროებში, რაც მის წინამორბედებს 20 წლის მანძილზე არ გაუკეთებიათ. ამასთან, პეტრო პოროშენკოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, არ განახორციელოს ისეთი ინსტიტუტების რეფორმა, რომლებიც პირადად მის მდგომარეობას დაემუქრება.

საზოგადოებრივი გამოკითხვები რეგულარულად აჩვენებს, რომ კორუფცია ამცირებს უკრაინელთა ნდობას საკუთარი ლიდერების მიმართ. ჩინოვნიკთა ქონებრივმა დეკლარაციებმა, რომლებიც ამას წინათ გამოქვეყნდა, კიდევ უფრო გააძლიერა ცინიზმი, რითაც პრორუსული და პოპულისტური პარტიები, ალბათ, არჩევნების დროს ისარგებლებენ.



თუმცა ეს ყველაფერი მისტერ დონალდ ტრამპისთვის, რომელსაც მსოფლიოს ამ ნაწილში ბიზნესის კეთება უყვარს, შოკისმომგვრელი არ იქნება, რადგან მას ადგილობრივ „ოლიგარქ-პრეზიდენტებთან“ გარიგება შეუძლია.

სამაგიეროდ, ცუდი იქნება როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქეების, ასევე მთლიანად ევროპისთვის.

**ნიუსპრესი**

# ტუსკი: „საქართველომ ყველა მოთხოვნა შეასრულა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ტნიორობის სამიტზე, რომელიც გაიმართება 2017 წლის ნოემბერში.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რათა მადლობა მოვახსენო საქართველოს იმ წვლილისთვის, რომელიც მას გაუნუხრელად შეაქვს ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში, ასევე დახმარებისთვის ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარების საქმეში. რაც შეეხება, უვიზო მიმოსვლას საქართველოს მოქალაქეთათვის, შარშან ოქტომბერში ყველა წევრმა ქვეყანამ დაადასტურა, რომ საქართველომ შეასრულა ყველა მოთხოვნა.

დღეს ჩვენ თავდაუზოგავად ვმუშაობთ ამ საკითხზე თავად ევროკავშირში. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს არის ევროკავშირის მხარის შიდა პრობლემა, რომ ჩვენ, შეძლებისდაგვარად, სწრაფად მივაღწიოთ შეთანხმებას უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს ჰორიზონტალურ მექანიზმს ყველა წესთან მიმართებაში, რომელიც ძალაშია ევროკავშირში ვიზებთან დაკავშირებით. საქართველო იმსახურებს ამ პროცესის დროულად და წარმატებით დასრულებას, – განაცხადა ტუსკმა.

* * *

– რადგან საქართველომ ყველა მოთხოვნა წარმატებით შეასრულა, ველით, რომ ევროკავშირი ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებს. ჩვენ გავაგრძელებთ ინტენსიურ და მიზანმიმართულ რეფორმებს, რათა ჩვენი ქვეყანა ევროკავშირის ნორმებსა და სტანდარტებს მივუახლოვოთ.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს დონალდ ტუსკთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო.

– ძალიან მოხარული ვარ, რომ აქ ვიმყოფები. საქართველოს მთავრობის სახელით მსურს, გულწრფელი მადლობა გადავუხადო ევროკავშირსა და პირადად პრეზიდენტ ტუსკს ჩემი ქვეყნისა და ევროკავშირთან მაქსიმალურად მიახლოების ძალისხმევის გაუნუხრელი მხარდაჭერისთვის, ჩვენ მიერ ნაკისრი ვალდებულება უცვლელია. გავაგრძელებთ ინტენსიურ და მიზანმიმართულ რეფორმებს, რათა ჩვენი ქვეყანა ევროკავშირის ნორმებსა და სტანდარტებს მივუახლოვოთ. მოუთმენლად ველით ასოცირების დღის წესრიგის განახლებულ ვარიანტს, რომლითაც ვიხელმძღვანელებთ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, – განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, საქართველოს მიღწევები აქვს დემოკრატიის კონსოლიდაციის, სამართლის უზენაესობისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხის გაძლიერების, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების დაცვის, ეკონომიკური ზრდისა და სტაბილურობის, გაზრდილი ინვესტიციებისა და ევროკავშირთან ვაჭრობის კუთხით, რაც მყარ საფუძველს ქმნის ამ მიმართულებით შემდგომი წარმატებისთვის.

– მზაობას გამოვხატავთ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ამ ამბიციური ურთიერთობის შესაძლებლობები, რაც საქართველოსა და ევროკავშირის საერთო ინტერესებს თანაბრად ემსახურება.

ამ პროცესში ევროკავშირის ჩართულობა ძლიერი მასტიმულირებელი მექანიზმების უზრუნველყოფით კრიტიკული მნიშვნელობისაა დიფერენცირებული და დამსახურებაზე დაფუძნებული მიდგომისთვის და ეს არის აღმოსავლეთ პარტნიორობის ძირითადი მამოძრავებელი პრინციპი, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, ამ საკითხს მივყავართ ვიზალიბერალიზაციამდე, რომელსაც ტრანსფორმაციის ძლიერი ეფექტი გააჩნია ფართომასშტაბიანი რეფორმების კონტექსტში და ქვეყნის მოქალაქეებს უშუალოდ ხელშესახებ სარგებელს აძლევს.

– რადგან საქართველომ ყველა მოთხოვნა წარმატებით შეასრულა, ველით, რომ მის ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებს და უვიზო მიმოსვლის რეჟიმს დააწესებს საქართველოს მოქალაქეებისთვის.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ბატონ ტუსკს ამ გზაზე საქართველოს მხარდაჭერისათვის. საქართველო ევროკავშირის ძირითადი მოკავშირეა უსაფრთხოების სფეროში და ეს განსაკუთრებით აღინიშნა კიდეც ანგარიშში, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

საქართველო აგრძელებს მონაწილეობას ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში.

– მზად ვართ თანამშრომლობა მეტად გავზარდოთ, რათა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალურ სტრატეგიაში გაწერილმა ხედვამ პრაქტიკული განხორციელება ჰპოვოს, – აღნიშნა ბ-მა კვირიკაშვილმა.

მან ხაზი გაუსვა ევროკავშირის მტკიცე მხარდაჭერას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი.

პრემიერის თქმით, ევროკავშირის ჩართულობა სამეთვალყურეო მისიების ფარგლებში ადგილზე ერთადერთი საერთაშორისო და აქტიური მედიაციის მექანიზმია ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატში, რაც მყარ გარანტიებს იძლევა მშვიდობის და სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

– ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთის მიერ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ოკუპაციისა და მცოცავი ანექსიის შედეგად წარმოქმნილი მძიმე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული გარემოებების მიმართებით.

დასკვნის სახით თბილი მიღებისა და საინტერესო იდეების გაცვლისთვის მსურს კვლავ გამოვხატო მადლიერება ევროპის საბჭოს პრეზიდენტის, ბატონი დონალდ ტუსკისადმი, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ხათუნა ლაღაზიძე: „ხელისუფლების მთავარი კოზირი ძლიერი ოპოზიციის არარსებობაა“

ნათია ხურცილავა



**პოლიტოლოგი ხათუნა ლაღაზიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

*— ქალბატონო ხათუნა, ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, ვგულისხმობ ეროვნული ვალუტის გაუფასურებასა და ქვეყანაში შექმნილ სოციალურ ფონს, რამდენად ნეგატიურად აისახება პოლიტიკურ პროცესებზე და რამდენად შეიძლება, ეს იყოს არასტაბილურობის წინაპირობა?*

— უშუალოდ არჩევნების წინაპერიოდი რომ იყოს, მაშინ ეს პროცესები უკვალოდ ნამდვილად არ ჩაივლიდა, მაგრამ საპარლამენტო არჩევნები უკვე ჩავლილია. წინ არის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. თუმცა, არც ისე ახლოს არის. აპრილი-მაისი რომ იყოს, მაშინ ხელისუფლებას ვერაფერი უშველიდა. ხელისუფლების მთავარი კოზირი დღეს არის ის, რომ მას არ ჰყავს ძლიერი ოპოზიცია. შესაბამისად, საპროტესტო ტალღის მეთაურიც არ არსებობს.

*— ძლიერი ოპოზიციური ლიდერი არ არის?*

— არა, ოპოზიციური ლიდერები არ არიან. არ არის ისეთი პოლიტიკური გუნდი, რომელიც საზოგადოების ნდობას დაიმსახურებს. არ არის პოლიტიკოსების გუნდი, რომელიც ორი მიმართულებით შეძლებდა მიზნის მიღწევას – ერთი – საზოგადოებაში არსებული საპროტესტო განწყობის ზუსტად გამოყენებასა და სწორად მიმართვას და მეორე – საზოგადოება ვერ ხედავს იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც შეძლებდა მის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრას.

ეს არის დღეს არსებული პოლიტიკური სპექტრის არსებითი პრობლემა და ეს არის საზოგადოების პრობლემაც. რომ არსებობდეს პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებას თუ ვერ აიღებდა, შეავიწროებდა მაინც და საკუთარ თავზე აიღებდა არსებული პრობლემების მოგვარების გზებზე ზრუნვას, შექმნილ ვითარებას აუცილებლად მოჰყვებოდა მაღალი ხარისხის საპროტესტო მუხტი.

*— ადგილობრივი არჩევნები შეიძლება გახდეს ამ ვითარების ტესტი?*

— ადგილობრივი არჩევნები „ბოლის გამოშვების“ მორიგი ეტაპია, მაგრამ აბსოლუტურად რადიკალურად განსხვავებულ შედეგს მივიღებდით, ის რომ ახლოს იყოს, ვიდრე მივიღეთ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი ძალა არ არის, მე რადიკალურ და რევოლუციურ ცვლილებებს არც მომდევნო საპარლამენტო არჩევნებზე ველოდები.

*— პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური ძალები, ნაციონალური მოძრაობა და პატრიოტთა ალიანსი, რამდენად შეიძლება იყოს ხელისუფლებისთვის პრობლემის შემქმნელი?*

— გარეთ ოპოზიცია არ არსებობს. მე ამაზე ჩამოყალიბებული აზრი მაქვს. რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციას, მისი რესურსები შეზღუდულია. ნაციონალურ მოძრაობას აკლია ის, რაც აქვს პატრიოტთა ალიანსს და პირიქით.

*— რას გულისხმობთ?*

— ნაციონალურ მოძრაობას, შეიძლება, აქვს კვალიფიკაცია, რომ გაუმკლავდეს იმ პრობლემებს, რომლებიც არის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო მიმართულებით. სულ მცირე, ამის ილუზიას თუ რეალობას ქმნის ის განვლილი პერიოდი, როდესაც თუნდაც ლარი გაცილებით სტაბილური იყო, მაგრამ ნაციონალურ მოძრაობას აქვს სერიოზული, გადაულახავი პრობლემა – მის მიმართ ხალხს ნდობა აქვს დაკარგული. საქართველოს მოქალაქეებისთვის 9 წელი ჯერ კიდევ ღია ჭრილობაა საიმისოდ, რომ თუნდაც მათი პროფესიონალიზმისთვის თვალი დახუჭონ.

პატრიოტთა ალიანსში პირიქით არის საქმე. შეიძლება, ხალხს გულს ეფინება მათი რიტორიკა, მათი ეროვნული, პატრიოტული განწყობები, მაგრამ საზოგადოების დიდ ნაწილში ეს ძალა არ ფასდება, როგორც პროფესიონალებითა და კვალიფიკაციის მქონე ადამიანებით დაკომპლექტებული პოლიტიკური ძალა და ეს არჩევნების შედეგებმაც აჩვენა. შეიძლება, პატრიოტთა ალიანსმა მოახერხოს გარკვეული საპროტესტო მუხტის მობილიზება, მაგრამ ის ვერ შეძლებს ამ მუხტის გადაზრდას საერთო, საყოველთაო გამარჯვებაში, რადგან ვერ აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმს, რომელზეც უკვე მოგახსენეთ.

*— ნაციონალური მოძრაობა სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას. იქონიებს გავლენას მათ რეიტინგზე ის მოვლენები, რომლებიც პარტიის შიგნით ვითარდება? ვგულისხმობ შესაძლო გაყოფას.*

— ნაციონალური მოძრაობის წარმატებები ნამდვილად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ისინი შიდა წინააღმდეგობების გადალახვას.

## აგვისტოს ომამდე საქართველოში გაგზავნილი მესიჯის გამო რუსეთში ორი პირი ციხეში ჩასვეს



რუსეთის მოქალაქეს, ოქსანა სევასტიდის სახელმწიფო ღალატის ბრალდებით, 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ამის შესახებ რუსული მედია იუწყება.

სისხლის სამართლის დევნის მიზეზად 2008 წელს მის მიერ განხორციელებული მოკლე ტექსტური შეტყობინება გახდა, რომელიც მან საქართველოსთან ომამდე ცოტა ხნით ადრე გააგზავნა. მან თავის ქართველ მეგობარს მისწერა, რომ სოჭში სამხედრო ტექნიკით დატვირთული მატარებელი ნახა, რომელიც აფხაზეთისკენ მიემართებოდა.

კრასნოდარის სამხარეო სასამართლომ ოქსანა სევასტიდისთვის განაჩენი 2016 წლის მარტში გამოიტანა, მაგრამ დღემდე ამის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს სოჭის მკვიდრი ეკატერინე ხარებავაც გაასამართლეს, რომელმაც ასევე დაინახა აფხაზეთისკენ მიმავალი იარაღით დატვირთული მატარებელი და ამის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინება ასევე თავის ქართველ მეგობარს გაუგზავნა.

ჯაშუშობის ბრალდებით კრასნოდარის საოლქო სასამართლომ მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რადგან ჩათვალა, რომ ხარებავამ სახელმწიფო საიდუმლო გაამჟღავნა.

**ინტერპრესნიუსი**

## თურქეთის საზღვართან სპეციალური რეჟიმი მოქმედებს



საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო (ძლიერი თოვის, ლიპყინულის, შეზღუდული ხილვადობის გამო), საერთაშორისო მნიშვნელობის ხაშური-ახალციხე-ვალეს (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 80-კმ 93 მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

**ინტერპრესნიუსი**



## 10 წელი მეუღლის მკვლელობისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და სარდიონ ღვინიაშვილი დამნაშავედ ცნო მეუღლის ნ.ს.-ს განზრახ მკვლელობაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11'-108-ე მუხლით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 13 აპრილს, დაახლოებით 15:45 საათზე, თბილისში, ელდარის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, სარდიონ ღვინიაშვილმა ეჭვიანობის ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, მეუღლეს ნ. ს.-ს დანით ყელს არეში მიაყენა ჭრილობა.

მიღებული ჭრილობის შედეგად ნ.ს. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა სარდიონ ღვინიაშვილი შემთხვევის ადგილზე დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 11'-108-ე მუხლით (ოჯახური ძალადობით ჩადენილი განზრახ მკვლელობა) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სარდიონ ღვინიაშვილი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

## მანგანუმის რეალიზატორი სამი კომპანიის მფლობელი დააკავეს

### მათ ბიუჯეტისთვის 1.200.000 ლარის ზიანის მიყენებას ედავებიან



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდების ფაქტზე, ჭიათურის რაიონში მანგანუმის შემცველი პროდუქციის უკანონოდ შეძენა-გადამუშავება-რეალიზაციის განმახორციელებელი კომპანიების მფლობელები დააკავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ გიორგი ნინიკაშვილი და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი მალხაზ კახნიაშვილი და გოჩა საყვარელიძე, მათ მფლობელობაში არსებული კომპანიების შპს „მანგანუმ სერვისის“, შპს „მარსის“ და შპს „მარსი 2014“-ის სახელით, ჭიათურის რაიონში ახორციელებდნენ მანგანუმის შემცველი პროდუქციის შეძენა-გადამუშავება-რეალიზაციას.

გამოძიების ვერსიით, ბრალდებულებმა, აღნიშნული კომპანიებით საქმიანობის პროცესში, განიზრახეს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისთვის თავის არიდება. ამ მიზნით, ისინი საბუღალტრო დოკუმენტებში შეგნებულად არასწორად ასახავდნენ შემოსავლებსა და ხარჯებს, არასწორ მონაცემებს აფიქსირებდნენ საგადასახადო დეკლარაციებში, რითაც საერთო ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენეს 1.200.000 ლარის ზიანი.

საგამოძიებო სამსახურმა დანაშაულში მხილებული პირები მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავა.

– დამატებით მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები როგორც დაკავებულთა მიერ სხვა დანაშაულებრივი ქმედებების შესაძლო ჩადენის, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა კომპანიების ხელმძღვანელ პირთა მიერ შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების გამოვლენა-დადგენის მიზნით, – ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციაში.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გრძელდება, რაც ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

## ლევან მურუსიძე: „ჩინჩალაძე და ზარდიაშვილი მეჯვარეები არიან და მათ შეხვედრას კავშირი არ აქვს „რუსთავი 2“-ის საქმესთან“



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე „რუსთავი 2“-ის საქმის მოსამართლეებზე ზეწოლის შესახებ ინფორმაციას ცილისწამებას და აბსურდს უწოდებს და აცხადებს, რომ იუსტიციის საბჭო აბსურდულ თემაზე შემოწმებას ვერ დაიწყებს.

– ის არგუმენტები, რაც იქნა დასახელებული, რომ სასამართლო სისტემაში მიხეილ ჩინჩალაძე და ვანო ზარდიაშვილი ახდენენ ზეწოლას, არის აბსურდული. მე ამაში 100%-ით ვარ დარწმუნებული და მოგიწოდებთ, რომ თქვენც გადაამოწმოთ ინფორმაცია. ამიტომ ცილისწამებაზე და აბსურდულ თემაზე საბჭო შემოწმებას ვერ დაიწყებს. თუ იქნება რაიმე არგუმენტი ან ფაქტი, მოსამართლეები განაცხადებენ, ან გარედან იქნება რაიმე ინფორმაცია, რომ ზეწოლას ჰქონდა ადგილი, მაშინ კიდევ შეიძლებოდა რაღაც გვეფიქრა, – განაცხადა ლევან მურუსიძემ.

მისივე თქმით, ასევე ადგილი არ ჰქონია ვანო ზარდიაშვილის და მიხეილ ჩინჩალაძის შეხვედრას მოსამართლეებთან.

რაც შეეხება იმას, თავად ჩინჩალაძე და ზარდიაშვილი ხვდებიან თუ არა ერთმანეთს, ლევან მურუსიძე აცხადებს, რომ ისინი ერთმანეთის მეჯვარეები და ნათელმირონები არიან და მათ შეხვედრას არანაირი კავშირი არ აქვს იმ სამ მოსამართლესთან, რომლებიც „რუსთავი 2“-ის საქმეზე გადაწყვეტილებას იღებენ.

„რუსთავი 2“-ის საქმის მოსამართლეებზე ვანო ზარდიაშვილსა და მიხეილ ჩინჩალაძის მხრიდან ზეწოლის შესახებ ინფორმაცია „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ გაავრცელა.

**ინტერპრესნიუსი**

# მიხეილ დუნდუა: „1 დეკემბერი თიბისის და საქართველოს ბანკის სირცხვილია“

## „არ შეიძლება, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად ავირჩიოთ კიკორია და მესტვირიშვილი“

გულიკო ბალაძე

– სირცხვილი საქართველოს ბანკს და თიბისი ბანკს! – ასეთი მოწოდებით გამოდის 20\30-ის წევრი მიხეილ დუნდუა, რომელიც ლარის კურსის მკვეთრ დაცემაში ამ ორი ბანკის როლს არასახელმწიფოებრივად აფასებს.

რატომ მიიჩნევს ამ 2 ბანკის ქმედებებს სირცხვილად და არასახელმწიფოებრივად, რატომ უნდა გახდეს მათი ქმედებები პროკურატურის ძიების საგანი, ამის თაობაზე მიხეილ დუნდუა „ახალ თაობას“ ესაუბრა.

***– ბატონო მიხეილ, თქვენ ლარის კურსის მკვეთრ დაცემას არაჯანსაღ პროცესებს უკავშირებთ. რა გაძლევთ ამის თქმის საშუალებას?***

– ამგვარი შეფასების საშუალებას მაძლევს ის სიტუაცია, რაც იყო 1 დეკემბერს სავალუტო ჯიხურებში, სადაც არ გახლდათ არანაირი ხალხმრავლობა, კურსი ავარდა ზევით, 2,70-ს გადააჭარბა და რამდენიმე საათში ჩამოვიდა 2.60-ის ნიშნულამდე.

***– თქვენ განაცხადეთ, რომ ეს გააკეთეს დიდმა მოთამაშეებმა, რაც სამართალდამცავი ორგანოების ძიების საგანი უნდა იყოს. კერძოდ, რა გააკეთეს?***

– ის კურსი, რაც დაფიქსირდა 1 დეკემბერს, აბსოლუტურად არაადეკვატური იყო, არაფერს ასახავდა. როგორც გავიგე, სავალუტო ჯიხურების მეპატრონეებიც კი აღშფოთებული იყვნენ. ლართან დაკავშირებული სიტუაცია არ იყო დაკავშირებული არც ერთ ეკონომიკურ ფაქტორთან.

***– ბანკების როლი აქ რით ჩანს?***

– სავალუტო ჯიხურებს თანხას აძლევენ მსხვილი მოთამაშეები.

***– კერძოდ?***

– ორი მსხვილი მოთამაშეა, საქართველოს ბანკი და თიბისი ბანკი. უნდა დაიწყოს მოკვლევა მათ ქმედებებთან დაკავშირებით.

***– ამ ბანკებმა არაკანონიერი ოპერაციები ჩაატარეს?***

– ვინ რა გააკეთა, გამოძიებამ უნდა დაადგინოს, მაგრამ ის, რაც მოხდა 1 დეკემბერს, გინდ სამართლებრივი კუთხით, გინდ სხვა კუთხით, საქართველოს ბანკისა და თიბისი ბანკის სირცხვილია. კანონის შესაბამისად მოქმედებდნენ თუ არა, მოიკვლიონ სათანადო ორგანოებმა. მათი ქმედება იყო ანტისახელმწიფოებრივი. ამიტომ შესაბამისმა ორგანომ უნდა გამოიძიოს და დამნაშავე პირები დასაჯოს.

***– რატომ იყო მათი ქმედება არასახელმწიფოებრივი? რა გააკეთეს?***

– სავალუტო ჯიხურებს სჭირდებათ დიდი რაოდენობით ფული საოპერაციოდ. ისინი ფულს, როგორც წესი, საქართველოს ბანკიდან და თიბისი ბანკიდან იღებენ. ისინი არიან ჯიხურებისთვის ფულის მიმწოდებლები. შესაბამისად, თუ ბანკები გადაწყვეტენ, რომ ძალიან მაღალი კურსით მისცენ თანხა ჯიხურის მფლობელებს, ისინი ან უნდა დაემორჩილონ, ან უარი თქვან.

ჯიხურის მეპატრონეებმა უარი თქვეს მაღალი კურსით თანხის მიღებაზე. რაღაც დროის განმავლობაში ჯიხურები არც კი ახურდავებდნენ ფულს, რადგან არ უნდოდათ, იმ კურსით ჩაეტარებინათ ოპერაცია, რასაც, დარწმუნებული ვარ, კავშირი ჰქონდა მსხვილ მოთამაშეებთან.

***– ერთ-ერთმა ექსპერტმა განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა იმგვარ ოპერაციებსაც, როცა გარკვეულმა მოთამაშეებმა დილით ლარი ერთ კურსში იყიდეს, შემდეგ კი, როცა კურსი დაეცა, გაყიდეს.***

– ფაქტია, რომ ლარის კურსმა 2,70-ს გადააჭარბა. ამაში დამნაშავე ვინც არის, უნდა დაისაჯოს. ეს იქნება რიგითი მოხელე თუ მაღალი დონის მოხელე ბანკში, ვინც ამ საკითხში უარყოფითი როლი ითამაშა, უნდა დაისაჯოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არის ამ ორი ბანკის სირცხვილი. თუ ვერ გააკონტროლეს და შიდა მოხელეების ბრალია, ეს კიდევ უფრო დიდი სირცხვილია.



***– ე.ი. ამ ორ ბანკზე იყო დამოკიდებული სავალუტო მოძრაობები?***

– მათ უნდა მიეხედათ ამ საკითხისთვის.

***– ანუ თქვენ ამბობთ, რომ დღეს საქართველოს სავალუტო ბაზარს აკონტროლებენ საქართველოს ბანკი და თიბისი ბანკი?***

– დღეს საქართველოს საფინანსო ბაზარს აკონტროლებენ თიბისი და საქართველოს ბანკი. მათ იმდენად დიდი მასშტაბები აქვთ, რომ პრაქტიკულად, ისინი არიან სისტემური ბანკები. ისინი საფინანსო სექტორს აკონტროლებენ. შესაბამისად, შეუძლებელია, მათი მონაწილეობის გარეშე წარმართულიყო ლარის კურსის მკვეთრი ვარდნის პროცესი.

***– მაშინ ეროვნული ბანკი რას აკეთებს? როგორ შეიძლება ეროვნულმა ბანკმა დაარეგულიროს პროცესი?***

– ეროვნულმა ბანკმა უნდა მიხედოს ბანკების ზედამხედველობას, ზედამხედველობა უნდა გაამკაცროს. უნდა გაითვალისწინოს სავალუტო ფონდის რეკომენდაცია.

***– ზოგიერთი ექსპერტი იმასაც აცხადებს, რომ სავალუტო ბაზარზე აჟიოტაჟის მიზეზი ის გეგმა იყო, რომელიც მთავრობამ რამდენიმე დღის წინ წარმოადგინა. ზოგიერთმა ორგანიზაციამ იმისთვის, რომ შემდეგ პრობლემები არ შექმნოდა, დიდი ოდენობით დოლარი შეისყიდა.***

– არა, რა დოლარი შეისყიდეს. ბლუმბერგზე სხვა კურსი იყო და სავალუტო ჯიხურებში სხვა კურსი დაფიქსირდა. ხსენებული ბანკების ჩარევის გარეშე ის არ მოხდებოდა, რაც მოხდა.

***– ბლუმბერგზე რა ხდებოდა?***

– ბლუმბერგი არის სავაჭრო სისტემა, სადაც ხდება ვაჭრობა. იქ შეიძლება დააკვირდე, როგორ მიმდინარეობს ვაჭრობა. არ შეიძლება, ბლუმბერგის კურსი და ჯიხურის კურსი რადიკალურად განსხვავდებოდეს. ბლუმბერგზე რა კურსიც არის, დაახლოებით იგივე უნდა იყოს სავალუტო ჯიხურებშიც. 1 დეკემბერს კი ისეთი სიტუაცია მივიღეთ, ჯერ სავალუტო ჯიხურებში ავარდა ვალუტის კურსი, ბლუმბერგის კურსი კი მერე წავიდა.

***– თქვენ ფეისბუქზე წერდით, რომ 2015 წელს გერმანიის განვითარების ბანკისაგან საქართველოს საბანკო სისტემის კრიტიკა იყო, რეკომენდაციები არ შევასრულეთ, არ დავუჯერეთ და, სამწუხაროდ, ვაგვიანებთ ამ მიმართულებით ღონისძიებებსო. საბანკო სისტემის რეფორმა იყო საჭირო?***

– სავალუტო ფონდით ითხოვდა და გერმანიის განვითარების ბანკმაც მოგვცა რეკომენდაციები, რომ უნდა შეიზღუდოს სამომხმარებლო დაკრედიტება და გზა უნდა მიეცეს საინვესტიციო დაკრედიტებას, ანუ კორპორაციულ დაკრედიტებას, რადგან საბანკო სექტორის წვლილი ეკონომიკის განვითარებაში ძალიან მიზერულია.

ბანკები რისკისგან დაუცველ მოსახლეობას აწვდიან ფულს და ვალს, არაადეკვატური საპროცენტო განაკვეთებით და არასათანადო პირობებით. ამის გამო, ზემოაღნიშნული ბანკები ყველაზე მაღალი მომგებიანობით მსოფლიოს ბანკების ოცეულში შედიან. ეს არ უნდა ხდებოდეს.

***– შეგიძლიათ თქვათ, რომ არსებულმა საბანკო სისტემამაც შეუწყო ხელი, ამ ორ ბანკს ის განეხორციელებინა, რაც მოხდა?***

– რა თქმა უნდა. ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს არ მიხედა, კომერციული ბანკების მიმართ არ გაატარა შესაბამისი ზომები. არ შეასრულა სავალუტო ფონდის რეკომენდაციები. იმიტომ გვჭირს ის, რაც გვჭირს.

არ მეგონა, თუ ასე მწვავედ დადგებოდა ეს საკითხი, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მართალი ვიყავი, როცა ვამბობდი, რომ საჭირო იყო, გაეთვალისწინებინათ სავალუტო ფონდის რეკომენდაციები. არ გაითვალისწინეს და ახლა აღიარებენ, რომ უცხოურ ვალუტაში არ შეიძლება სესხების აღება დაუცველი მოსახლეობისთვის.

***– ჩვენ გვახსოვს, რომ ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტის დიდი იმედი გვქონდა, როცა ქადაგიძე იცვლებოდა. რატომ ვერ შეასრულა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ის ფუნქცია, რაც საჭირო იყო?***

– ის, რა ღონისძიებებსაც ახლა მიმართავს, სწორი ღონისძიებებია, მაგრამ ეს ეროვნულ ბანკს 2015 წელს უნდა გაეკეთებინა. ახლა არის 2016 წლის დეკემბერი. ქადაგიძემ საჭირო ღონისძიებები არ გაატარა, რამაც მიგვიყვანა ახლანდელ სიტუაციამდე. მისმა შეცდომებმა მიგვაღებინა დღევანდელი სიტუაცია. სამი წელია, გორდება ეს სიტუაცია. ერთი და ორი თვის მიუხედაობის ამბავი რომ იყოს, ასე არ მოხდებოდა. 3 წლის წინანდელმა პრობლემამ ახლა ერთბაშად იფეთქა. ახლა ეროვნული ბანკი ასრულებს სავალუტო ფონდის რეკომენდაციას. დაგვიანებით, მაგრამ მაინც ასრულებს. ქადაგიძემ ეს არ გააკეთა.

***– ახლა ეროვნული ბანკის საბჭოს ახალი წევრების არჩევა ხდება. თუ ადევნებთ თვალყურს?***

– არ შეიძლება, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად ავირჩიოთ კიკორია და მესტვირიშვილი.

***– რატომ?***

– დაუშვებელია, კიკორია ავირჩიოთ ეროვნული ბანკის საბჭოში, რადგან რამდენიმე თვის წინ ის საქართველოს ბანკს ხელმძღვანელობდა. მისი სავარძელი ჯერ გაცივებული არ არის. ასეთი პიროვნება უნდა დაინიშნოს ეროვნულ ბანკში, რომელმაც ბანკებს ზედამხედველობა უნდა გაუწიოს? როგორ შეიძლება ასეთი რამის გაკეთება? ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ კიკორიას ყველანაირი კავშირი გაწყვეტილი აქვს საქართველოს ბანკთან.

***– კიკორიასაც ხომ არ აქვს 1 დეკემბრის სავალუტო რყევებში მონაწილეობა მიღებული?***

– არ ვიცი, საკითხი პროკურატურამ უნდა გამოიძიოს, მაგრამ ის, რაც მოხდა, მინიმუმ სირცხვილია საქართველოს ბანკისა და თიბისი ბანკის.

***– რატომ უნდა მოეხდინათ სავალუტო კურსის მკვეთრი ვარდნისთვის ხელშეწყობა ხსენებულ ბანკებს?***

– მათ ეს გააკეთეს მოგების მიღების მიზნით.

***– თქვენ თქვით, რომ არ შეიძლება მესტვირიშვილი და კიკორია იყვნენ ეროვნული ბანკის საბჭოშიო.***

– მესტვირიშვილმა დაიმსახურა, წავიდეს ეროვნული ბანკიდან.

***– რით?***

– როცა ჩვენ ვეუბნებოდით, გაეთვალისწინებინათ სავალუტო ფონდის რეკომენდაციები, არ გაითვალისწინეს. ახლა აღიარებენ, რომ გასათვალისწინებელი ყოფილა. ამიტომ უნდა წავიდეს.

***– თუ კიკორიასა და მესტვირიშვილის ყოფნა ეროვნული ბანკის საბჭოში არ შეიძლება, მაშინ რატომ წარადგინეს?***

– ისინი პრეზიდენტმა წარადგინა. ეს უნდა ვკითხოთ პრეზიდენტს, რატომ წარადგინა.

***– პროტესტს ხომ არ აცხადებთ?***

– არა, მაგრამ კიკორია და მესტვირიშვილი ეროვნული ბანკის საბჭოში არ უნდა იყვნენ. სხვაგან კარგ ადგილზე დანიშნონ, უფრო მეტი ფული მისცენ, პრობლემა არ არის. უკეთესად იცხოვრონ, პიროვნული დაპირისპირება არ მაქვს ამ ადამიანებთან, მაგრამ საქართველოს ბანკის წარმომადგენელი ეროვნულ ბანკში ზედამხედველად არ უნდა იჯდეს.

***– საქართველოს ბანკს თუ აკონტროლებდა, რა, ფული არ აქვს?***

– არ ვიცი. მე ვამბობ, კარგად იცხოვროს, პიროვნულად პრობლემა არ მაქვს-მეთქი. უბრალოდ, არ შეიძლება, საქართველოს ბანკის ყოფილი წარმომადგენელი ეროვნული ბანკის საბჭოში იყოს. მერე გახდება ზედამხედველობის ხელმძღვანელი და ბანკებს როგორ უზედამხედველებს?!

***– რიგი ექსპერტებისა, სავალუტო ბაზარზე არსებულ მდგომარეობას ხელისუფლებას რომ აბრალებენ, ამბობენ, რომ საჭიროა საბიუჯეტო ხარჯების შემცირება, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება. ამას როგორ უყურებთ? თქვენ ხელისუფლების როლს როგორ აფასებთ?***

– ადმინისტრაციული ხარჯების შეკვეცა და ამგვარი ღონისძიებები მნიშვნელოვანია, ეს უნდა განხორციელდეს. თუმცა, 1 დეკემბერს განვითარებულ მოვლენებთან ამას ნაკლები კავშირი აქვს, იმიტომ, რომ სავალუტო ფონდი მუდმივ მონიტორინგს უტარებს ამ პროცესებს.

არასოდეს უთქვამს სავალუტო ფონდს, მთავრობის ხარჯვითმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო ლარის დევალვაციასო. ასეთი პრობლემები რომ იყოს, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ და სავალუტო ფონდი ხედავს, გასაგები იქნებოდა. პრობლემა უნდა ვეძებოთ იმ მიმართულებით, რაზეც გესაუბრეთ. მიუხედავად ამისა, ხარჯების შემცირება, ადმინისტრაციის შემცირება ძალიან კარგია და ეს უნდა გაკეთდეს.

# გურჯაანის მაჟორიტარის ოჯახმა და ბიზნესპარტნიორებმა „ქართული ოცნება“ 290.000 ლარით დააფინანსეს

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გურჯაანის მაჟორიტარულ ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა დავით სონღულაშვილმა გაიმარჯვა. მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურში მან ამომრჩეველთა ხმების 78,54 % მიიღო. საქართველოს პარლამენტში იგი დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრია, გაერთიანებულია ფრაქციაში „ქართული ოცნება“.

მიმდინარე წლის ოქტომბერში დავით სონღულაშვილის ოჯახმა და ბიზნესპარტნიორებმა „ქართული ოცნების“ ანგარიშზე 290.000 ლარის შემოწირულობა შეიტანეს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ოფიციალური ინფორმაციით, 4 ოქტომბერს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ „გამსახურდიას 5“ (ს/კ – 404882926) „ქართულ ოცნებას“ გადაურიცხა 120.000 ლარი, რაც იურიდიული პირის მიერ პოლიტიკური პარტიისთვის განხორციელებული წლიური შემოწირულობის დადგენილი მაქსიმალური თანხაა.

ამ კომპანიაში დავით სონღულაშვილი ფლობს კაპიტალის 16%-ს, მისი დედა დარეჯან ღულუნიშვილი-სონღულაშვილი და ძმა იოსებ სონღულაშვილი – 17-17%-ს. გარდა ამისა, იოსებ სონღულაშვილს ამ კომპანიის პრეზიდენტის პოზიციაც უკავია.

იმავე დღეს, სახელისუფლებო პარტიის ანგარიშზე ერთობლივად 120.000 ლარი გადარიცხეს დავით სონღულაშვილის ძმამ, იოსებ სონღულაშვილმა და შპს „გამსახურდიას 5“-ის კაპიტალის 50%-ის მფლობელმა და დირექტორმა ნუკრი ლიპარტაშვილმა (თითოეულმა – 60.000 ლარი), რაც ფიზიკური პირის მიერ პოლიტიკური პარტიის მიმართ წლიური შემოწირულობის ზღვრული ოდენობაა.

არჩევნების მეორე ტურის წინ, 24 ოქტომბერს კი „ქართულ ოცნებას“ 50.000 ლარი შესწირა დავით სონღულაშვილის მამამ, ბიძინა სონღულაშვილმა, რომელიც 2000-2003 წლებში საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის თანამდებობაზე მუშაობდა.

საერთო ჯამში გურჯაანის ოლქში პარლამენტის მაჟორიტარის ოჯახისა და ბიზნესპარტნიორის შემოწირულობებმა 290.000 ლარი შეადგინა.

დავით სონღულაშვილი 2004 წლიდან, 21 წლის ასაკში, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის თანაშემწე იყო, საიდანაც მალევე გადაიყვანეს მინისტრის აპარატის უფროსად. შემდეგ იგი „საქართველოს ბანკის“ შესყიდვების დეპარტამენტის უფროსად მუშაობდა.

ბოლო რამდენიმე წელია, დავით სონღულაშვილი ბიზნესის სფეროში საქმიანობს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, იგი ამჟამად 8 კომპანიაში ფლობს სხვადასხვა ოდენობის წილებს, ესენია: შპს „ედრესი“ (59%), შპს „ბელეზა“ (100%), შპს „დრაი ქლაინინგ ჯორჯია“ (16,67%), შპს „რთველი 2002“ (34%), შპს „გამსახურდიას 5“ (16%), შპს „პროგრესი“ (50%), შპს „ინტერგაზი“ და შპს „თიეიჩ ჯორჯია“.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყებოდა, რომ დავით სონღულაშვილი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი იყო – 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მან მაშინდელი მმართველი პარტიის ანგარიშზე 7.000 ლარის შემოწირულობა განახორციელა.



კახეთის საინფორმაციო ცენტრი

# „ეროვნულმა ბანკმა სუსტი ლარის პოლიტიკა აირჩია“

## ალექსანდრე თვალჭრელიძე საწვავზე აქციზის გაზრდას მხარს არ უჭერს

ნონა ცაბაძე

ეკონომიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი ალექსანდრე თვალჭრელიძე აფასებს.

***— ბატონო ალექსანდრე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე აცხადებს, რომ ის, რაც 1 დეკემბერს სავალუტო ბაზარზე ხდებოდა, აჟიოტაჟი და მოლოდინებით შექმნილი იყო. როგორ აფასებთ მის განცხადებებს და ზოგადად რა ხდება ქართულ ეკონომიკაში?***

— ხდება ის, რომ მთავრობას ჯერჯერობით არ დაუწყია ნორმალური მუშაობა, განსაკუთრებით — ეკონომიკურ გუნდს. წლის ბოლოა, ლარზე მოთხოვნა დიდია და ამიტომ ხდება ასეთი ტიპის ექსცესები. მთავრობა მალე გონს მოვა და რაღაც ქმედებებს განახორციელებს. ამავდროულად, ჩემთვის მეორე საკითხიც გარკვეულია.

***— რომელი საკითხი?***

— ის, რომ ეროვნულმა ბანკმა აირჩია სუსტი ლარის პოლიტიკა, რაც დიდი შეცდომაა.

***— რა იგულისხმება სუსტი ლარის პოლიტიკაში?***

— ის, რომ დიდი იქნება გაცვლითი კურსი. ეს კარგია ისეთი ქვეყნისთვის, რომელიც ექსპორტისკენ არის მიმართული, მაგალითად, ირანი, თურქეთი და ასე შემდეგ. ასევე ეს კარგია ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, რომელიც მთლიანად განსაზღვრავს საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებს. ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის ეს დიდი შეცდომაა. ეს ჩვენ უკვე ვნახეთ აზერბაიჯანის მაგალითზე.

***— ამბობენ, რომ ის, რაც ახლა ხდება, ხელოვნური პროცესია, რომ ვიღაც დიდ ფულს შოულობს. ასეა?***

— არა, მე ამაში კორუფციულ გარიგებას ვერ ვხედავ. აქ არის ორი მიზეზი: პირველი — ეროვნული ბანკის საერთო პოლიტიკა და მეორე — მთავრობას ჯერ არ დაუწყია ნორმალურად ფუნქციონირება. დაველოდოთ, ვნახოთ, რა იქნება 100 დღის შემდეგ.

***— რამდენად შეძლებენ სიტუაციის გამოსწორებას?***

— ეს სამი თვის შემდეგ მკითხეთ. ახლა ამაზე პასუხი არ მაქვს.

***— გაძვირებულ ფასებზე რას იტყვით? მთავრობამაც დააანონსა აქციზების გაძვირება საწვავზე, სასმელზე და ასე შემდეგ. ეს მოსახლეობის ჯიბეს არ დაარტყამს?***

— თუ ასეთი პოლიტიკა ხანგრძლივი იქნება, მაშინ ყველაფერი გაძვირდება. რაც შეეხება აქციზს, პრინციპში, მე ერთადერთ აქციზს ვეთანხმები. ეს არის თამბაქოზე, მიუხედავად იმისა, რომ თავად მწეველი ვარ. ეს არის მსოფლიო დონის პოლიტიკა, ასევე, იმპორტირებულ ალკოჰოლურ სასმელებზე, მაგრამ, არავითარ შემთხვევაში, ენერგომატარებლებსა და საწვავზე.

***— საწვავის გაძვირება უკვე დაანონსდა. მთავრობა ამ წინადადებას უკან წაიღებს?***

— ვნახოთ, არ ვიცი. ხელისუფლების შიგნით ურთიერთდამოკიდებულება ჯერ კიდევ გარკვეული არ არის. შეიცვალა პოზიციები, შეიცვალნენ მინისტრები. რა დამოკიდებულებებია, ვის დაუჯერებს პრემიერმინისტრი, ვის — არა, არ ვიცით. დაველოდოთ და ვნახოთ.

***— რას ფიქრობთ ინიციატივებზე, რომ სესხები გადავიდეს ლარში, აიკრძალოს ონლაინსესხები? ამის თაობაზე როგორია თქვენი პოზიცია?***

— ძალიან დადებითი. არა მარტო ეკონომიკური, არამედ ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, კონსტიტუციით ჩვენი ეროვნული ვალუტა ლარია. ვინმეს წარმოუდგენია, რომ საფრანგეთში კრედიტები შვეიცარიულ ფრანკებში გაიცემოდეს და არა — ევროში?! მთელი ანგარიშსწორება ლარში უნდა ხდებოდეს. ეს კონსტიტუციაში წერია.

***— ლარში გაცილებით მაღალი პროცენტია, ვიდრე დოლარში.***

— ეს სხვა პრობლემაა, რაზეც სხვადასხვა ტიპის რეგულაციები უნდა არსებობდეს. არ შეიძლება, კრედიტებს დრაკონული პროცენტი დაედოს. ჩვენთან უზომოდ მაღალია განაკვეთი კრედიტებზე. მსოფლიოში წლიური არის 2-3%, ჩვენთან კი ძალიან მაღალია. ამას სჭირდება შესაბამისი რეგულაციები და ამის ერთ-ერთი თავიდათავი არის საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც კომერციულ ბანკებს ფულს უზომოდ მაღალი პროცენტით აწერენ.

***— საუბრობენ იმის თაობაზეც, რომ სესხების ლარში გადატანა ბევრ, იმავე სამშენებლო ბიზნესს დააზარალებს.***

— რატომ უნდა დააზარალოს?! ჯერჯერობით დეველოპერები ყველაფერს დოლარში ყიდიან და, როცა



ლარში გადავლენ, ამაზე მერე ვილაპარაკოთ. ერთი რამ ფაქტია — მათ არ უნდა გაზარდონ ფასები.

***— ეკონომიკური თვალსაზრისით მკაცრი ზამთარი არ გვექნება?***

— შეიძლება გვქონდეს, მაგრამ ეს ქართული უნიათობით იქნება გამოწვეული, იმიტომ, რომ თამაშის წესებს ბიზნესი უნდა შეეჩვიოს. არ შეიძლება ხავსმოკიდებული ტექნოლოგიებით მუშაობა. ცოტა სხვა ტიპის ურთიერთობები უნდა განვითარდეს საქართველოში. რაც დღეს ჩვენთან ხდება, ამას არ ჰქვია მეწარმეობა.

# სოსო შატბერაშვილი: „ჩემმა შვილმა ონლაინსესხი რომ ვერ დაფარა, კომპანიამ პრეტენზია მე წამომიყენა“

## რატომ უნდა აიკრძალოს ონლაინსესხები

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილ პრობლემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მემარცხენე ალიანსის გენერალურ მდივან სოსო შატბერაშვილს.

***— საწვავზე აქციზების ზრდა, რასაც ხელისუფლება აპირებს, ყველა პროდუქციას გააძვირებს. რა პროცესებს გამოიწვევს ეს მოსახლეობაში?***

— ამან შეიძლება, ხალხის უკმაყოფილება მღელვარებაში გადაზარდოს. ხელისუფლება ეძებს გამოსავალს უმძიმესი სიტუაციიდან. ამ მიზნით მან გაასაჯაროვა თავისი გეგმები. ზოგიერთი მიდგომა სწორი და მისასალმებელია, ზოგი კი — მიუღებელი. მაგალითად, ვერაფრით დავეთანხმებით აქციზის გაზრდას საწვავზე. ეს ნიშნავს, რომ გაძვირდება პირველადი საჭიროების სურსათი და საგნები — ბავშვის საკვებით დაწყებული, პურით დამთავრებული.

მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები დაბალია, მაგრამ აქციზის შემოღება მაინც მტკივნეული იქნება საქართველოს მოსახლეობისთვის. მოვუწოდებთ ხელისუფლებას, რომელიც კითხულობს თქვენს გაზეთს, საწვავს ნუ შეეხება და სხვა პროდუქციაზე დააწესოს აქციზი, გაზარდოს მოსაკრებელი კაზინოებისთვის და სხვა. მემარცხენე ალიანსს კიდევ ერთი კონკრეტული ინიციატივა გვაქვს მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ამაზე ბრიფინგიც ჩავატარეთ.

***— რაში მდგომარეობს ეს ინიციატივა?***

— ის ეხება კრედიტების პროცენტების რეგულირებას. სამოქალაქო კოდექსში არის მუხლი, რომელიც აწესებს ზღვარს იპოთეკური სესხებისთვის. ესაა საშუალოდ 16%, მაგრამ სხვა სახის კრედიტების შემთხვევაში სრული განუკითხაობაა. ეს საშუალებას აძლევს ბანკებს, მიკროსაფინანსო და ონლაინორგანიზაციებს, დაადგინონ უზომო პროცენტები სესხებზე. ეს ალვირახსნილობა უნდა დამთავრდეს. შევიმუშავეთ პროექტი, დამატება სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლში, რომლითაც ეს რეგულაცია შეეხება ყველა სახის კრედიტს. მივესალმებით განზრახვას ონლაინკრედიტების აკრძალვის შესახებ. ამას დიდი ხანია, მოვითხოვთ.




„თუ ხელისუფლება სწორ ნაბიჯებს არ გადადგამს, გაზაფხულზე ცუდი პროცესები ელის“

***— მთავრობის პოზიცია ამ საკითხზე გაუგებარია. ჯერ თქვეს, ონლაინსესხები იკრძალება, რამდენიმე საათში კი გადათქვეს.***

— არ უნდა გადაეთქვათ. ონლაინსესხებს დიდი ზიანი მოაქვს ჩვენი მოქალაქეების, განსაკუთრებით — ახალგაზრდებისთვის. აქაც გამოჩნდა ამ ხელისუფლების მერყევი ბუნება. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს სხვა საკითხებშიც გამოუჩენიათ ორჭოფობა და გაურკვევლობა. ჯერ უნდოდათ რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება, შემდეგ კი ამის საპირისპიროს ამბობდნენ და აკეთებდნენ. ამის შედეგად ქვეყანა სუსტდება. ხისტ პოზიციებსა და ნატოს წვრთნებს მოჰყვა ის, რომ რუსეთმა გალი სამხედრო ქალაქად აქცია.

***— ონლაინსესხებს ბევრი მომხრე ჰყავს. ითვლება, რომ თუ ადამიანს უცებ დასჭირდა მცირე თანხა, მაგალითად, 200 დოლარი, მას შეუძლია, ფული ონლაინრეჟიმში რამდენიმე წუთში ისესხოს.***

— ასეთი მიდგომა დანაშაულს უტოლდება. ფული ძალიან მაცდური რამეა, ადამიანს ბევრი რამ სჭირდება. საჭირო თანხა შეიძლება 200 დოლარიც იყოს და 2 მილიონიც. რატომღაც ზოგს ჰგონია, რომ სესხი ლამის საჩუქარია. ეს საჩუქარი კი არა, პრობლემაა.

ეს საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. ჩემმა შვილმა ოჯახთან შეუთანხმებლად აიღო ონლაინსესხი. რომ ვერ დაფარა, კომპანია მე დამიკავშირდა და პრეტენზიები წამომიყენა. მე მევახშეებს აქეთ დავდე ბრალი იმის გამო, რომ სესხი მისცეს ახალგაზრდას, რომელსაც საკუთრება და ქონება არ გააჩნია და არ მუშაობს. მსესხებლებიც და მევახშეებიც ჩვენი მოქალაქეები არიან. ამ კრედიტებით ყველა ზარალდება. არასრულწლოვანს რომ აძლევ კრედიტს და ის ვერ გიბრუნებს, შენც ხომ ზარალდები? ამიტომ ონლაინსესხები, რომლებმაც ბევრი ადამიანი დააზარალა, ასაკრძალია.

***— ბოლოდროინდელი მოვლენები როგორ აისახა ხელისუფლების რეიტინგზე?***

— ხელისუფლებას ჯერ კიდევ შეუძლია ვითარების გამოსწორება. მან 24-საათიან რეჟიმში უნდა იმუშაოს, რომ ჯერ ლარის კურსის ვარდნა შეაჩეროს, შემდეგ კი კურსი გაამყაროს. 17 წლის განმავლობაში ლარი მყარი იყო და ახლაც რეალურია მისი კურსის დარეგულირება.

კარგი იქნება, თუ ხელისუფლება საჭირო რეკომენდაციებს გაითვალისწინებს. აუცილებელია ყველა კრედიტზე პროცენტების შეზღუდვა, ონლაინსესხების აკრძალვა და უარის თქმა საწვავის აქციზზე. თუ ხელისუფლება ამას ვერ მიხედავს და სწორ ნაბიჯებს არ გადადგამს, გაზაფხულზე ძალიან ცუდი პროცესები ელის.

9 პარტიამ უკვე გამოაცხადა, რომ ოქტომბრის არჩევნები ტოტალურად გაყალბდა. ჩვენ ამ შეფასებას არ ვეთანხმებით. ეს პოლიტიკოსები ჩასაფრებული არიან. ისინი ელიან, რომ ხელისუფლებამ შეცდომები დაუშვას და ხალხი აღელდეს. არც სააკაშვილს სძინავს.

# გურამ ჩალაგაშვილი: „დენის ტარიფი 1,5–2 თეთრით უნდა გაიზარდოს ან გრაფიკი დაწესდეს“



— ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო ენერგოტარიფების ზრდა გარდაუვალია.

ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი რადიო „კომერსანტთან“ საუბრობს.

ჩალაგაშვილის განმარტებით, დღეს არსებული ტარიფი დაანგარიშებულია 2.30 კურსზე. რაც შეეხება ობიექტურ რეალობას, ბაზარი დამოკიდებულია თბოსადგურების მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიასა და იმპორტირებულზე, რაც, დოლარის კურსიდან გამომდინარე, გაცილებით ძვირია.

ჩალაგაშვილის განცხადებით, ტარიფის გაზრდა გარდაუვალია, წინააღმდეგ შემთხვევაში, თბოსადგურები ვერ იმუშავებს.

— გამანაწილებელ კომპანიებს — „თელასს“, „ენერგოპროსა“ და „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“ გაეზრდებათ შესასყიდი ელექტროენერგიის ღირებულება, რაც, საბოლოო ჯამში, აისახება სამომხმარებლო ტარიფზე. დეკემბრის ბოლომდე უნდა მოხდეს სემეკში ტარიფების განხილვა და, ვფიქრობ, 1,5-2 თეთრით ზრდა გარდაუვალია, რათა სისტემა არ დაინგრეს, — აცხადებს ჩალაგაშვილი.

მისივე განმარტებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას მოუწევს, გადავიდეს გრაფიკზე, რათა კომპანიებმა დაზოგონ შესყიდული ელექტროენერგია და ნაკლები წაგება მიიღონ.

სემეკის ყოფილი თავმჯდომარის შეფასებით, სისტემა, შესაძლოა, საფრთხის წინაშე დადგეს, გახშირდეს ავარიები და ვიყოთ დამოკიდებული გრაფიკზე.

ბუნებრივი აირის ტარიფი ნაწილობრივ დერეგულირებული საკითხია, რაშიც კომისია ვერ ერევა, ანუ თავად კომპანიებს „სოკარსა“ და „ყაზტრანსგაზს“ შეუძლიათ, 2 კვირით ადრე გააფრთხილონ მომხმარებლები გაძვირების შესახებ და ამ პროცესში კომისია ვერ ჩაერევა.

***

ლარის გაუფასურების გამო თბოსადგურებმა ტარიფის ზრდის მოთხოვნით სემეკს გასულ წელს მიმართეს და დაანგარიშების შედეგად სამომხმარებლო ტარიფი მაშინ 3,95 თეთრით გაძვირდა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების მიხედვით, დღგ-ის გარეშე, 101 კვტ/სთ-ის ჩათვლით, დენის ფასი, 8.034 თეთრი/კვტ/სთ-ის ნაცვლად, გახდა 11.000 თ/კვტ/სთ; 101 კვტ/სთ-დან 301 კვტ/სთ-ის ჩათვლით, 10.56 თეთრი/კვტ/სთ-ის ნაცვლად, ფასი გახდა 14.400 თ/კვტ/სთ; 301 კვტ/სთ-დან და მეტი — 14.998 თეთრი/კვტ/სთ-ის ნაცვლად, 18.200 თ/კვტ/სთ.

# კობა გვენეტაძე: „ონლაინსესხების ბევრი კომპანია, შესაძლებელია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციად გადაკეთდეს“



— ონლაინსესხების ბევრი კომპანია, შესაძლებელია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციად გადაკეთდეს.

ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ ონლაინსესხებთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

როგორც კობა გვენეტაძემ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში გამართული ღონისძიების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, ონლაინსესხებთან დაკავშირებით როდესაც იქნება საკანონმდებლო პაკეტი და მოხდება მისი განხილვა, საზოგადოება უფრო მეტ დეტალს გაიგებს.

— უკეთესი იქნება, მოვიცადოთ მანამდე, ვიდრე კანონპროექტი პარლამენტში არ შევა. იქნება და იყო კიდეც კონსულტაციები ონლაინსესხების კომპანიებთან. როდესაც ეს კანონპროექტი იქნება, მასში გაწერილი იქნება ყველა დეტალი. იყო ასეთი ინფორმაცია, რომ რაღაც ალბათობით ონლაინსესხების ბევრი კომპანია, შესაძლებელია, გადაკეთდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციად. შესაძლოა, ეს კანონპროექტი ან ერთ, ან მეორე ეტაპზე შეიცვალოს, ამიტომ ძალიან ნუ გავუსწრებთ მოვლენებს წინ, — განაცხადა კობა გვენეტაძემ.

**ბიპიენი**

# ლარი გამყარდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გამყარდა.

3 დეკემბრიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.5599 ლარია. კურსი, რომელიც 2 დეკემბერს მოქმედებდა, 2.5871 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0272 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გამყარდა.

კერძოდ, 3 დეკემბრიდან 1 ევროს შეძენა 2.7250 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ როცა 2 დეკემბერს მოქმედი კურსი 2.7491 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0241 ლარი შეადგინა.

## გოგონამ ბარში შესასვლელად პირადობის მოწმობის ნაცვლად პიცა წარადგინა

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის მცხოვრები გოგონა შეეცადა ადგილობრივ ბარში პირადობის დამადასტურებელი საბუთის ნაცვლად პიცას ნაჭერი გამოყენებით შესულიყო.

გოგონა, რომელიც სავარაუდოდ ერთ-ერთი ადგილობრივი უნივერსიტეტის სტუდენტია, ცდილობდა, რომ ასეთი სახით დაემტკიცებინა ბარის დაცვის თანამშრომლებისთვის, რომ ის სრულწლოვანი იყო. დაწესებულების თანამშრომლებმა უარი თქვეს პიცას ნაჭერი საბუთის ნაცვლად მიეღოთ და გოგონა შეეშვათ დაწესებულებაში სადაც ალკოჰოლური სასმელები იყიდება. ამის გამო გოგონა გაბრაზდა და დაცვის თანამშრომელს ხელი სახეში გაარტყა. გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ შესაძლოა გოგონა ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ბარის თანამფლობელმა რასიფ რაფიკმა სტუდენტ გოგონას წარმატებები უსურვა სწავლაში.

— კოლეჯში სწავლის დროს ყოველ ჩვენგანს ჰქონია წვეულებები, რომლის დამთავრების სემდეგაც კიდევ რაიმე მოგვდომებია, — განაცხადა მან.

აშშ-ში ალკოჰოლური სასმელის მიყიდვა 21 წლის ასაკს მიუღწეველთათვის აკრძალულია.

## ფრინველმა მანქანას გველი ესროლა



ავსტრალიაში მტაცებელმა ფრინველმა ცოცხალი გველი გზაზე მოძრავ ავტომობილზე დააგდო. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ფეისბუქში ვიდეორეგისტრატორების მფლობელთა ავსტრალიური საზოგადოების გვერდზე იქნა განთავსებული. ფრინველი, რომელსაც კლანჭებით გველი ეჭირა, დაბალ სიმაღლეზე საავტომობილო ტრასის თავზე მიფრინავდა. როდესაც მოახლოვებულ მანქანამდე მცირე მანძილი იყო დარჩენილი, მან მოულოდნელად ნადავლს კლანჭები გაუშვა და გაფრინდა. მოულოდნელობისგან ავტომობილის მგზავრებმა შეჰყვირეს, მაგრამ როდესაც ნათელი გახდა, რომ მათ საფრთხე არ ემუქრებოდათ, ისტერიული სიცილი აუვარდათ.

სოციალური ქსელის მომხმარებლებმა შენიშნეს, გველი მოტოციკლეტისტს რომ დასცემოდა, შედეგი ნაკლებად სასიამოვნო იქნებოდა. ზოგიერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა აღნიშნა, რომ ფრინველმა ქვეწარმავალი მანქანას სპეციალურად ესროლა, რათა მოეკლა. ვიდეორგოლი 600 ათასამდე ადამიანმა ნახა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## გენერალი მატისი აშშ-ის ახალი თავდაცვის მინისტრი გახდება



ამერიკის ახლადარჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი თავისი ადმინისტრაციის დაკომპლექტებას განაგრძობს.

პარასკევს მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თავდაცვის მინისტრის პოსტს საზღვაო ქვეითი ჯარის გადამდგარი გენერალი ჯეიმს მატისი დაიკავებს.

ის 1950 წელს დაიბადა, მონაწილეობდა ერაყის ომში (2003 წ.), აგრეთვე ავღანეთის ოპერაციაში. მატისი მწვავედ აკრიტიკებდა რუსეთს როგორც ყირიმის ანექსიის, ასევე დონბასში ომის გაჩაღების გამო.




## ოლანდი საფრანგეთის პრეზიდენტობაზე კენჭს აღარ იყრის

საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა, რომ 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე კენჭს არ იყრის.

ჟურნალისტებთან საუბრისას მან აღნიშნა: — მოსახლეობას მოვუწოდებ, ვისაც უნდა, იმას მისცეს ხმა, გარდა მარინ ლე პენისა. თუკი ეს ქალი პრეზიდენტი გახდა, საფრანგეთს მძიმე დღეები დაუდგება.

## ალეპო, შესაძლოა, გიგანტურ სასაფლაოდ გადაიქცეს



გაეროს წარმომადგენელმა ობრაიენმა განაცხადა, რომ თუკი ალეპოში ბრძოლები არ შეჩერდა, კატასტროფა გარდაუვალია.

— ალეპო, შესაძლოა, გიგანტურ სასაფლაოდ გადაიქცეს, — განაცხადა მან.

მიუხედავად ამისა, სირიელი პარტიზანები იარაღს არ ყრიან. ისინი აცხადებენ, რომ რევოლუცია გრძელდება.

მშვიდობიანი მოსახლეობა ცდილობს, ალეპო დატოვოს.

ქალაქში გამოილია სურსათი, ბრძოლები არ წყდება. რუსები და ასადის ავიაცია ქალაქს სისტემატურად ბომბავენ.



## ტაილანდის ტახტზე ახალი მეფე ავიდა

ტაილანდელი პრინცი მახა ვაჩილარონგკორნი მეფედ აკურთხეს.

კორონაცია 14 ოქტომბერს უნდა შემდგარიყო, მაგრამ პრინცმა მისი გადადება მოითხოვა.

— ნება მომეცით, მამაჩემი სრულად გამოვიგლოვო, — თქვა მან.

ტაილანდის ახალი მეფე 64 წლისაა. ის განათლებული და უაღრესად კულტურული ადამიანია.

## პუტინმა ტრამპის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სასტიკად გააკრიტიკა აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის მერ მიღებული დადგენილება რუსი დიპლომატებისთვის გადაადგილების შეზღუდვისა და რუსული ფარული გავლენის განეიტრალების შესახებ. ამავე დროს, მან განაცხადა, რომ მზადაა, ტრამპის ადმინისტრაციასთან ითანამშრომლოს.



— რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები ჩიხშია შესული! ჩვენ ეს არ გვაკმაყოფილებს, — თქვა რუსეთის პრეზიდენტმა.

ამავე დროს, პუტინმა აღნიშნა, რომ რუსეთის ინტერესებს ბოლომდე დაიცავს. მის მიერ ჩამოყალიბებულ საგარეო პოლიტიკის თეზისებში ნათქვამია, რომ აშშ-სთან თანამშრომლობა უნდა მოხდეს ურთიერთპატივისცემისა და ერთი მხარის მიერ მეორის საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

პუტინი ამერიკელებისგან მოითხოვს, თვალი დახუჭონ რუსეთში ადამიანის უფლებების დარღვევაზე, ხელი აიღონ უკრაინის მხარდაჭერაზე, სირიაში ასადის რეჟიმის დამხობის სურვილზე და ა.შ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

**საუკეთესო ტრადიციული ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“**

**ტრადიციული საუკეთესო საუკუნოვანი გამოცდილების მქონე ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ - დილას და საღამოს.**

**☎ 599-73-48-21.**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**მომსახურება**

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**მკურნალობა**

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისადანარკომპანიისგანსამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ელ კლასიკომ ყველა დერბი გადაფარა

## სტატისტიკა, ფსონები

დიდებული უქმეები ელით ფეხბურთის მოყვარულებს. მთელი მსოფლიოს ყურადღება ბარსელონისკენ იქნება მიმართული, სადაც რეალი სტუმრობს. ელ კლასიკომ ამ ტურში ისეთი მატჩებიც კი გადაფარა, როგორებიც ინგლისის პრემიერლიგის ლიდერების სიტი-ჩელსისა და რომაული დერბის — ლაციო-რომას დაპირისპირებაა.



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 03.12 სიტი-ჩელსი | 2.15 | 3.4 | 3.6 |
| 03.12 ტოტენჰემი-სუონსი | 1.33 | 5.5 | 9.0 |
| 03.12 სტოკი-ბარნლი | 1.67 | 3.6 | 6.0 |
| 03.12 კრ.პალასი-საუთჰემპტონი | 3.4 | 3.3 | 2.25 |
| 03.12 სანდერლენდი-ლესტერი | 3.3 | 3.3 | 2.3 |
| 03.12 ვესტ ბრომვიჩი-უოტფორდი | 2.15 | 3.3 | 3.6 |
| 03.12 ვესტ ჰემი-არსენალი | 4.8 | 3.8 | 1.75 |
| 04.12 ბორნმუთი-ლივერპული | 5.0 | 3.8 | 1.73 |
| 04.12 ევერტონი-მანჩესტერი | 3.75 | 3.4 | 2.1 |
| 05.12 მიდლსბრო-ჰალი | 1.8 | 3.5 | 5.0 |

**სიტი-ჩელსი**

სიტი: ტრავმ-ვინსენტ კომპანი, ფაბიან დელფი

ჩელსი: ტრავმ-ჯონ ობი მიკელი, ჯონ ტერი

**ტოტენჰემი-სუონსი**

ტოტენჰემი: ტრავმ-ბენ დევისი, ერიკ ლამელა, ტობი ალდერვაიელდი

სუონსი: ტრავმ-კი სუნგ-იუნგი

**სტოკი-ბარნლი**

სტოკი: ტრავმ-ფილიპ ბიორდსლი, ჯეფ კამერონი, იბრაჰიმ აფელაი

ბარნლი: ტრავმ-არავინ

**კრ.პალასი-საუთჰემპტონი**

კრ.პალასი: ტრავმ-სტივ მანდანდა, კრისტიან ბენტეკე, პაპე სუარე, ლოიკ რემი

საუთჰემპტონი: ტრავმ-მატ ტარგეტი, ჯერემი პიდი

**სანდერლენდი-ლესტერი**

სანდერლენდი: ტრავმ-პადი მაკნაირი, ლი კატერმოლი, ფაბიო ბორინი

ლესტერი: ტრავმ-ლეონარდო ულოა, კასპერ შმეიხელი, ნამპალის მენდი

**ვესტ ბრომვიჩი-უოტფორდი**

ვესტ ბრომვიჩი: ტრავმ-საიდო ბერაინო

უოტფორდი: ტრავმ-კრისტიან კაბასელე, ისააკ სუკესი, კენედი, ბრის ჯა ჯეჯე

**ვესტ ჰემი-არსენალი**

ვესტ ჰემი: ტრავმ-გოკჰამ ტურე, სამ ბირამი, არტურ მასუაკუ, ენდი კეროლი

არსენალი: ტრავმ-ექტორ ბელერინი, ლუკას პერესი, სანტი კაზორლა, დანი უელბეკი, პერ მერტეზაკერი

**ბორნმუთი-ლივერპული**

ბორნმუთი: ტრავმ-სტივ კუკი

ლივერპული: ტრავმ-ადამ ლალანა, ფელიპე კოუტინიო

**ევერტონი-მანჩესტერი**

ევერტონი: ტრავმ-არავინ

მანჩესტერი: ტრავმ-კრის სმოლინგი, ერიკ ბაილი

**მიდლსბრო-ჰალი**

მიდლსბრო: ტრავმ-ჯორჯ ფრიენდი

ჰალი: ტრავმ-უილიამ კეინი, აბელ ერნანდესი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 13 | 10 | 1 | 2 | 29-10 | 31 |
| 2.ლივერპული | 13 | 9 | 3 | 1 | 32-14 | 30 |
| 3.სიტი | 13 | 9 | 3 | 1 | 29-12 | 30 |
| 4.არსენალი | 13 | 8 | 4 | 1 | 28-13 | 28 |
| 5.ტოტენჰემი | 13 | 6 | 6 | 1 | 19-10 | 24 |
| 6.მანჩესტერი | 13 | 5 | 5 | 3 | 18-15 | 20 |
| 7.ევერტონი | 13 | 5 | 4 | 4 | 16-15 | 19 |
| 8.უოტფორდი | 13 | 5 | 3 | 5 | 17-21 | 18 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 13 | 4 | 5 | 4 | 17-16 | 17 |
| 10.საუთჰემპტონი | 13 | 4 | 5 | 4 | 13-12 | 17 |
| 11.სტოკი | 13 | 4 | 4 | 5 | 14-19 | 16 |
| 12.ბორნმუთი | 13 | 4 | 3 | 6 | 15-19 | 15 |
| 13.ბარნლი | 13 | 4 | 2 | 7 | 12-21 | 14 |
| 14.ლესტერი | 13 | 3 | 4 | 6 | 16-22 | 13 |
| 15.მიდლსბრო | 13 | 2 | 6 | 5 | 12-15 | 12 |
| 16.ვესტ ჰემი | 13 | 3 | 3 | 7 | 14-24 | 12 |
| 17.კრ.პალასი | 13 | 3 | 2 | 8 | 21-26 | 11 |
| 18.ჰალი | 13 | 3 | 2 | 8 | 11-28 | 11 |
| 19.სუონსი | 13 | 2 | 3 | 8 | 16-26 | 9 |
| 20.სანდერლენდი | 13 | 2 | 2 | 9 | 12-23 | 8 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 03.12 გრანადა-სევილია | 4.5 | 3.75 | 1.8 |
| 03.12 ბარსელონა-რეალი | 1.85 | 4.0 | 4.0 |
| 03.12 ლეგანესი-ვილიარეალი | 3.5 | 3.1 | 2.3 |
| 03.12 ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.25 | 6.0 | 13.0 |
| 04.12 ბეტისი-სელტა | 2.4 | 3.4 | 3.0 |
| 04.12 ბილბაო-ეიბარი | 1.83 | 3.4 | 4.8 |
| 04.12 ალავესი-ლას პალმასი | 2.5 | 3.4 | 2.9 |
| 04.12 ხიხონი-ოსასუნა | 2.05 | 3.4 | 3.8 |
| 04.12 ვალენსია-მალაგა | 1.75 | 3.8 | 4.8 |
| 05.12 დეპორტივო-სოსიედადი | 3.0 | 3.25 | 2.5 |

**გრანადა-სევილია**

გრანადა: ტრავმ-რენე კრინი, ჯერემი ბოგა, გაბრიელ სილვა

სევილია: ტრავმ-კარლოს ფერნანდესი

**ბარსელონა-რეალი**

ბარსელონა: ტრავმ-არდა თურანი, სამუელ უმტიტი, ჯერემი მატიე

რეალი: ტრავმ-გარეთ ბეილი, ალვარო მორატა, ტონი კროოსი

**ლეგანესი-ვილიარეალი**

ლეგანესი: ტრავმ-ჯონ ანდრე სერანტესი, დიეგო რიკო, რობერტ იბანესი, ადრიან მარინი, ალექსანდერ შიმანოვსკი, კონე

ვილიარეალი: ტრავმ-არავინ

**ატლეტიკო-ესპანიოლი**

ატლეტიკო: ტრავმ-ფილიპე ლუისი, ფერნანდო ტორესი, აუგუტო ფერნანდესი, ალესიო ჩერჩი

ესპანიოლი: ტრავმ-ალვარო ვასკესი

**ბეტისი-სელტა**

ბეტისი: ტრავმ-არავინ

სელტა: ტრავმ-კარლეს პლანასი, ფაბიან ორელანა

ბილბაო-ეიბარი

ბილბაო: ტრავმ-მიგელ რიკო, ანდერ იტურასპე, ოსკარ დე მარკოსი

ეიბარი: ტრავმ-არავინ

**ალავესი-ლას პალმასი**

ალავესი: ტრავმ-არავინ

ლას პალმასი: ტრავმ-დანიელ კასტელანო

**ხიხონი-ოსასუნა**

ხიხონი: ტრავმ-დანიელ ნდი

ოსასუნა: ტრავმ-ხაიმე რომერო, დიდიე დიუგარი, ხავიერ ფლანო

**ვალენსია-მალაგა**

ვალენსია: ტრავმ-ფედერიკო კარტაბია

მალაგა: ტრავმ-ზდრავკო კუზმანოვიჩი, რეკიო, ჩარლესი, კეკო გონტანი, ველინგტონი

**დეპორტივო-სოსიედადი**

დეპორტივო: ტრავმ-რაიან ბაბელი, ბორხა

სოსიედადი: ტრავმ-რუბენ პარდო, მარკელ ბერგარა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 13 | 10 | 3 | 0 | 36-11 | 33 |
| 2.ბარსელონა | 13 | 8 | 3 | 2 | 33-14 | 27 |
| 3.სევილია | 13 | 8 | 3 | 2 | 24-18 | 27 |
| 4.ატლეტიკო | 13 | 7 | 3 | 3 | 28-11 | 24 |
| 5.სოსიედადი | 13 | 7 | 2 | 4 | 22-14 | 23 |
| 6.ვილიარეალი | 13 | 6 | 4 | 3 | 19-10 | 22 |
| 7.ეიბარი | 13 | 6 | 3 | 4 | 20-16 | 21 |
| 8.ბილბაო | 13 | 6 | 2 | 5 | 17-16 | 20 |
| 9.სელტა | 13 | 6 | 2 | 5 | 21-23 | 20 |
| 10.ლას პალმასი | 13 | 5 | 4 | 4 | 24-21 | 19 |
| 11.მალაგა | 13 | 5 | 4 | 4 | 21-19 | 19 |
| 12.ესპანიოლი | 13 | 4 | 6 | 3 | 17-17 | 18 |
| 13.ალავესი | 13 | 4 | 4 | 5 | 13-16 | 16 |
| 14.ბეტისი | 13 | 4 | 2 | 7 | 14-25 | 14 |
| 15.ლეგანესი | 13 | 4 | 1 | 8 | 11-25 | 13 |
| 16.ვალენსია | 13 | 3 | 2 | 8 | 17-24 | 11 |
| 17.დეპორტივო | 13 | 2 | 4 | 7 | 13-23 | 10 |
| 18.ხიხონი | 13 | 2 | 3 | 8 | 12-27 | 9 |
| 19.ოსასუნა | 13 | 1 | 4 | 8 | 12-26 | 7 |
| 20.გრანადა | 13 | 0 | 5 | 8 | 11-29 | 5 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 03.12 დორტმუნდი-გლადბახი | 1.44 | 4.8 | 7.0 |
| 03.12 ვერდერი-ინგოლშტადი | 2.45 | 3.5 | 2.9 |
| 03.12 ლევერკუზენი-ფრაიბურგი | 1.53 | 4.5 | 6.0 |
| 03.12 ვოლფსბურგი-ჰერტა | 2.15 | 3.3 | 3.6 |
| 03.12 ჰოფენჰაიმი-კიოლნი | 2.2 | 3.4 | 3.5 |
| 03.12 ლაიპციგი-შალკე | 2.05 | 3.5 | 3.75 |
| 04.12 დარმშტადი-ჰამბურგი | 2.7 | 3.25 | 2.75 |
| 04.12 აუგსბურგი-აინტრახტი | 2.8 | 3.0 | 2.87 |

**დორტმუნდი-გლადბახი**

დორტმუნდი: ტრავმ-რომან ბურკი, სვენ ბენდერი, ნევენ სუბოტიჩი

გლადბახი: ტრავმ-იბრაჰიმა ტრაორე, პატრიკ ჰერმანი, ნიკო შულცი, იოსიპ დრმიჩი

**ვერდერი-ინგოლშტადი**

ვერდერი: ტრავმ-სამბუ იატარაბე, ფალოუ დიანე, ლუკა კალდიროლა

ინგოლშტადი: ტრავმ-რომან ბრეგერი

**ლევერკუზენი-ფრაიბურგი**

ლევერკუზენი: ტრავმ-ქარიმ ბელარაბი

ფრაიბურგი: ტრავმ-მაქსიმილიან ფილიპი, კაგლარ სუონკუ, იონას მეერტი, კამირ გუედე

**ვოლფსბურგი-ჰერტა**

ვოლფსბურგი: ტრავმ-არავინ

ჰერტა: ტრავმ-მიჩელ ვიზერი, პერ სკელბერდი

**ჰოფენჰაიმი-კიოლნი**

ჰოფენჰაიმი: ტრავმ-კევინ ვოგი, პირმინ შვეგლერი

კიოლნი: ტრავმ-ფილიპ მლადემოვიჩი, მატიას ლემანი, ტიმო ჰორნი, დომინიკ მარო, ლეონარდო ბიტენკურტი

**ლაიპციგი-შალკე**

ლაიპციგი: ტრავმ-მარვინ კომპერი, ბერნარდო, კევინ გიფსონი, ლუკას კლოსტერმანი

შალკე: ტრავმ-კლაას-იან ჰუნტელაარი, ბრეელ ემბოლო

**დარმშტადი-ჰამბურგი**

დარმშტადი: ტრავმ-იმანუელ, რომან ბეზიაკი, იან როზენტალი

ჰამბურგი: ტრავმ-კლებერი, ალბინ ეკდალი, ემირ სპასიჩი, რენე ადლერი

**აუგსბურგი-აინტრახტი**

აუგსბურგი: ტრავმ-რაულ ბობადილა, ალფრედ ფინბოგასონი, კაიბუ, რაფაელ ფრამბერგი

აინტრახტი: ტრავმ-დანი ბლუმი, ტალებ ტავატა, შანი ტარაშაი, გილერმო ვარელა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიპციგი | 12 | 9 | 3 | 0 | 27-10 | 30 |
| 2.ბაიერნი | 12 | 8 | 3 | 1 | 26-8 | 27 |
| 3.ჰერტა | 12 | 7 | 3 | 2 | 19-11 | 24 |
| 4.აინტრახტი | 12 | 7 | 3 | 2 | 18-10 | 24 |
| 5.კიოლნი | 12 | 6 | 4 | 2 | 18-8 | 22 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 12 | 5 | 7 | 0 | 21-14 | 22 |
| 7.დორტმუნდი | 12 | 6 | 3 | 3 | 27-14 | 21 |
| 8.შალკე | 12 | 5 | 2 | 5 | 17-13 | 17 |
| 9.მაინცი | 12 | 5 | 2 | 5 | 22-22 | 17 |
| 10.ლევერკუზენი | 12 | 5 | 1 | 6 | 19-20 | 16 |
| 11.ფრაიბურგი | 12 | 5 | 0 | 7 | 16-24 | 15 |
| 12.აუგსბურგი | 12 | 3 | 4 | 5 | 10-14 | 13 |
| 13.გლადბახი | 12 | 3 | 4 | 5 | 12-18 | 13 |
| 14.ვოლფსბურგი | 12 | 2 | 4 | 6 | 10-15 | 10 |
| 15.დარმშტადტი | 12 | 2 | 2 | 8 | 11-24 | 8 |
| 16.ვერდერი | 12 | 2 | 2 | 8 | 15-31 | 8 |
| 17.ინგოლშტადტი | 12 | 1 | 3 | 8 | 9-22 | 6 |
| 18.ჰამბურგი | 12 | 0 | 4 | 8 | 8-27 | 4 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 03.12 იუვენტუსი-ატალანტა | 1.4 | 4.5 | 8.0 |
| 04.12 მილანი-კროტონე | 1.28 | 5.5 | 10.0 |
| 04.12 ლაციო-რომა | 2.9 | 3.25 | 2.45 |
| 04.12 სამპდორია-ტორინო | 2.0 | 3.25 | 2.6 |
| 04.12 სასუოლო-ემპოლი | 1.85 | 3.3 | 4.5 |
| 04.12 პესკარა-კალიარი | 2.4 | 3.5 | 2.8 |
| 04.12 ფიორენტინა-პალერმო | 1.28 | 5.5 | 10.0 |
| 05.12 კიევო-ჯენოა | 2.45 | 3.0 | 3.1 |
| 05.12 უდინეზე-ბოლონია | 2.05 | 3.25 | 3.8 |

**იუვენტუსი-ატალანტა**

იუვენტუსი: ტრავმ-ანდრეა ბარძალი, პაულო ბიბალა, მარკო პიაცა

ატალანტა: ტრავმ-ეტრიტ ბერიშა, აბდულაი კონკო

**მილანი-კროტონე**

მილანი: ტრავმ-კარლოს ბაკა, დავიდე კალაბრია, რიკარდო მონტოლივო

კროტონე: ტრავმ-კლეიტონ მაჩადო

**ლაციო-რომა**

ლაციო: ტრავმ-ფედერიკო მარჩეტი, ლუის ალბერტო, სტეფან დე ვრეი

რომა: ტრავმ-შტეფან ელ შაარავი, კოსტას მანოლასი, ალესანდრო ფლორენცი

**სამპდორია-ტორინო**

სამპდორია: ტრავმ-ემილიანო ვივიანო, დანიელ პავლოვიჩი, კარლოს კარბონერო

ტორინო: ტრავმ-ჯუზეპე ვივესი, კრისტიან მოლინარო

**სასუოლო-ემპოლი**

სასუოლო: ტრავმ-ლორენცო პელეგრინი, დავიდე ბიონდინი, ალფრედ დანკანი, სტფანო სენსი, დომენიკო ბერარდი

ემპოლი: ტრავმ-ლევან მჭედლიძე, მარკო ძამბიელი, ვინსენტ ლორინი

**პესკარა-კალიარი**

პესკარა: ტრავმ-უგო კამპანარო, მიქელე ფორნასიერი, ალეხანდრო მიტრიტა, ანდრეა კოდა, ნორბერტ გიომბერი

კალიარი: ტრავმ-პანაგიოტის ტაციდისი, ნიკოლა მურუ, ჟოაო პედრო, არტურ იონიტა

**ფიორენტინა-პალერმო**

ფიორენტინა: ტრავმ-არავინ

პალერმო: ტრავმ-სლობოდან რაიკოვიჩი, კარლოს ემბალო, აკურსიო ბენტივენია

**კიევო-ჯენოა**

კიევო: ტრავმ-ანტონიო ფლორო ფლორესი, პერპარიმ ჰეტემაი

ჯენოა: ტრავმ-ლეონარდო პავოლეტი

**უდინეზე-ბოლონია**

უდინეზე: ტრავმ-ევანდრო

ბოლონია: ტრავმ-სადიქ უმარი, ფილიპ ჰელანდერი, სიმონე Vერდი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 14 | 11 | 0 | 3 | 29-12 | 33 |
| 2.რომა | 14 | 9 | 2 | 3 | 33-16 | 29 |
| 3.მილანი | 14 | 9 | 2 | 3 | 25-18 | 29 |
| 4.ლაციო | 14 | 8 | 4 | 2 | 27-14 | 28 |
| 5.ატალანტა | 14 | 9 | 1 | 4 | 23-14 | 28 |
| 6.ტორინო | 14 | 7 | 4 | 3 | 31-17 | 25 |
| 7.ნაპოლი | 14 | 7 | 4 | 3 | 24-15 | 25 |
| 8.ინტერი | 14 | 5 | 3 | 5 | 22-18 | 21 |
| 9.ფიორენტინა | 13 | 5 | 5 | 3 | 20-15 | 20 |
| 10.ჯენოა | 13 | 5 | 4 | 4 | 17-15 | 19 |
| 11.სამპდორია | 14 | 5 | 4 | 5 | 17-20 | 19 |
| 12.კალიარი | 14 | 6 | 1 | 7 | 22-31 | 19 |
| 13.კიევო | 14 | 5 | 3 | 6 | 14-16 | 18 |
| 14.ბოლონია | 14 | 4 | 4 | 6 | 14-21 | 16 |
| 15.უდინეზე | 14 | 4 | 3 | 7 | 18-23 | 15 |
| 16.სასუოლო | 14 | 4 | 2 | 8 | 17-26 | 14 |
| 17.ემპოლი | 14 | 2 | 4 | 8 | 7-21 | 10 |
| 18.პესკარა | 14 | 1 | 4 | 9 | 11-26 | 7 |
| 19.კროტონე | 14 | 1 | 3 | 10 | 11-27 | 6 |
| 20.პალერმო | 14 | 1 | 3 | 10 | 10-27 | 6 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 03.12 მონპელიე-პსჟ | 5.5 | 4.0 | 1.6 |
| 03.12 ანჟე-ლორიანი | 2.05 | 3.28 | 3.8 |
| 03.12 მონაკო-ბასტია | 1.35 | 4.8 | 9.0 |
| 03.12 მეცი-ლიონი | 5.0 | 3.6 | 1.73 |
| 03.12 ბორდო-ლილი | 2.1 | 3.0 | 4.0 |
| 03.12 გენგამი-ნანტი | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 04.12 რენი-სტ.ეტიენი | 2.5 | 3.1 | 3.1 |
| 04.12 მარსელი-ნანსი | 1.75 | 3.5 | 5.0 |
| 04.12 ნიცა-ტულუზა | 2.2 | 3.1 | 3.5 |

**მონპელიე-პსჟ**

მონპელიე: ტრავმ-სულეიმან კამარა, იაკუბა სილა, ვილიამ რენი, კაზიმირ ნინგა

პსჟ: ტრავმ-ადრიან რაბიო, ლავინ კურზავა

**ანჟე-ლორიანი**

ანჟე: ტრავმ-დენის პეტრიჩი, ბილი კეტკეოპომპონე

ლორიანი: ტრავმ-მიჩელ კიანი, ბენჯამინ ჟანო

**მონაკო-ბასტია**

მონაკო: ტრავმ-ნებჯამინ მენდი

ბასტია: ტრავმ-ალექსანდერ ჯიკუ

**მეცი-ლიონი**

მეცი: ტრავმ-მევლუტ ერდინჩი, ფლორენტ მოლე

ლიონი: ტრავმ-ემანუელ მამანა

**ბორდო-ლილი**

ბორდო: ტრავმ-სედრიკ კარასკო, ტომას ტურე

ლილი: ტრავმ-რიო მავუბა

**გენგამი-ნანტი**

გენგამი: ტრავმ-არავინ

ნანტი: ტრავმ-ვილფრედ მოიმბე, ანტუან ვალონვა

**რენი-სტ.ეტიენი**

რენი: ტრავმ-ვესლი საიდი, იოან გურკუფი, ედსონ მექსე, კლემენტ ჩანტომე

სტ.ეტიენი: ტრავმ-პიერ გაბრიელი, რობერტ ბერიჩი, ფაბიან ლემო

**მარსელი-ნანსი**

მარსელი: ტრავმ-აარონ ლეია ისეკა, აბუ დიაბი

ნანსი: ტრავმ-ერიკ კაბაკო

**ნიცა-ტულუზა**

ნიცა: ტრავმ-მარიო ბალოტელი, პოლ ბაისი

ტულუზა: ტრავმ-ისა დიოპი, ოსკარ ტრეიო, ჯესი პი, კლემენტ მიჩელინი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიცა | 14 | 10 | 3 | 1 | 26-10 | 33 |
| 2.მონაკო | 14 | 10 | 2 | 2 | 43-15 | 32 |
| 3.პსჟ | 14 | 10 | 2 | 2 | 28-8 | 32 |
| 4.რენი | 14 | 7 | 3 | 4 | 15-17 | 24 |
| 5.გენგამი | 14 | 6 | 5 | 3 | 19-14 | 23 |
| 6.ბორდო | 14 | 6 | 5 | 3 | 19-16 | 23 |
| 7.ლიონი | 14 | 7 | 1 | 6 | 22-18 | 22 |
| 8.სტ.ეტიენი | 14 | 5 | 6 | 3 | 16-12 | 21 |
| 9.ტულუზა | 14 | 5 | 4 | 5 | 17-13 | 19 |
| 10.ანჟე | 14 | 5 | 3 | 6 | 13-14 | 18 |
| 11.მეცი | 14 | 5 | 3 | 6 | 16-25 | 18 |
| 12.მარსელი | 14 | 4 | 5 | 5 | 13-17 | 17 |
| 13.მონპელიე | 14 | 3 | 7 | 4 | 20-27 | 16 |
| 14.დიჟონი | 14 | 3 | 5 | 6 | 18-21 | 14 |
| 15.კაენი | 14 | 4 | 2 | 8 | 11-23 | 14 |
| 16.ბასტია | 14 | 3 | 4 | 7 | 11-14 | 13 |
| 17.ნანტი | 14 | 3 | 4 | 7 | 9-18 | 13 |
| 18.ნანსი | 14 | 3 | 4 | 7 | 8-19 | 13 |
| 19.ლილი | 14 | 3 | 2 | 9 | 10-19 | 11 |
| 20.ლორიანი | 14 | 2 | 2 | 10 | 12-26 | 8 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი





# როდის არის სახიფათო კონტრაცეპცია

XXI საუკუნეში ოჯახის დაგეგმარება ჩვეულებრივ წესად იქცა. ქალის გააქტიურებამ გამოიწვია ის, რომ წყვილი გეგმავს, თუ როდის ურჩევნია შვილი იყოლიოს, ამისთვის კი ისინი კონტრაცეპტივებს იყენებენ.

ოჯახის დაგეგმვა ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალური სამედიცინო-სოციალური პრობლემაა. ოჯახის დაგეგმვას ერთდროულად რამდენიმე ამოცანის გადაჭრა შეუძლია. ესენია არასასურველი ორსულობის თავიდან აცილება, სასურველი რაოდენობის შვილის ყოლა, ორსულობათა შორის ინტერვალის რეგულირება, ბავშვის დაბადების დროის შერჩევა მშობლების ასაკის გათვალისწინებით.

კონტრაცეპტივებთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად დასმული კითხვებია – იწვევს თუ არა ჭარბთმიანობას, სიმსუქნეს, უშვილობას, რამდენად უსაფრთხოა და იცავს თუ არა რეალურად არასასურველი ორსულობისგან.

ამ კითხვებით „ახალმა თაობამ“ ექიმ მეან-გინეკოლოგ ქეთი ლომიძეს მიმართა:



– არასასურველი ორსულობის თავიდან ასაცილებლად წყვილი სხვადასხვა ხერხს მიმართავს. საზოგადოებაში ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არაერთი მითი არსებობს, მაგალითად, სქესობრივი კავშირი მენსტრუაციის დროს, შეწყვეტილი სქესობრივი აქტი, სექსი მხოლოდ ერთხელ, საშოს გამორეცხვა – ეს ყველაფერი არის მითი და არც ერთი შემთხვევა არ იცავს დაორსულებისგან.

***– რამდენად უსაფრთხოა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები?***

– ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები სრულიად უსაფრთხოა, მთავარია, ის შერჩეული იქნას ექიმთან ერთად. არჩევანიც ფართოა. არსებობს ბარიერული, საშვილოსნოსშიდა, ჰორმონალური, ბუნებრივი და ნებაყოფლობითი ანუ ქირურგიული საშუალებები.

ბარიერული ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებაა კონდომი, ანუ პრეზერვატივი. ის უსაფრთხოა, ხელმისაწვდომიც, მარტივია მოსახმარებლად და იცავს წყვილს სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისაგან. იშვიათად, რომ ლატექსზე ალერგია იყოს კონდომის მოხმარებაზე უარის თქმის მიზეზი.

ჰორმონალური საშუალებებია აბები. სასურველია, ჩასახვის საწინააღმდეგო ჰორმონული საშუალებები სპეციალისტმა შეარჩიოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ქალმა 35 წელს გადააბიჯა ან სიგარეტს ეწევა, რადგან მწეველებში ჰორმონების ეფექტურობა იკლებს.

ჰორმონალური აბების მიღება ერთგვარი პროფილაქტიკაა საკვერცხის და საშვილოსნოსი. რაც მთავარია, როგორც კი შეწყვეტს ქალი მათ მიღებას, მაშინვე აღდგება ფერტილობა და დაორსულება შესაძლებელი იქნება.

კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივები ესტროგენსა და პროგესტერონს შეიცავს. აბები, რომელთა შემადგენლობაშიც მხოლოდ პროგესტერონი შედის, მინი-პილის სახელით არის ცნობილი და განსაკუთრებულ შემთხვევებში ინიშნება, მათ შორის ლაქტაციის დროს.

ტაბლეტები თითქმის ყველასთვის არის დაშვებული, მინი-პილის სახელით არის ცნობილი, უსაფრთხოა და მეძუძურსაც შეუძლია დალიოს, ამ დროს რძის გამომუშავება არ მცირდება, თუმცა წონის ოდნავ მატება შესაძლებელია.

***– რას იტყვით კონტრაცეპტივ პლასტირზე?***

– კონტრაცეპტივი-პლასტირი კანზე მაგრდება, საიდანაც ჰორმონები შეიწოვება და სისხლის საშუალებით ორგანიზმში ვრცელდება. ძალიან თანამედროვეა და პრაქტიკული.

არსებობს საშოს რგოლიც, რომელიც ღრმად საშვილოსნოს ყელის სიახლოვეს უნდა მოთავსდეს.

რაც შეეხება საინექციო კონტრაცეპტივებს, ის ქალს სამი თვის განმავლობაში იცავს ფეხმძიმობისგან, თუმცა საკვერცხეებს ამ დროს ფუნქციის აღდგენა უჭირს.

***– ქალებში ყველაზე გავრცელებულია საშვილოსნოს შიდა საშუალება ანუ სპირალი...***

– სპირალი მაღალი დაცვის ინდექსით გამოირჩევა. თუ ქალს უნდა დაორსულება, ამოღებისთანავე დგება ორსულობა. სპირალი არ იცავს აღმავალი ინფექციებისგან. სპირალის ჩადგმის მსურველ პაციენტს არ უნდა ჰქონდეს ინფექცია, უნდა გაკეთდეს PAP ტესტი. სასურველია, სპირალის მქონე ქალბატონს არ ჰყავდეს ბევრი პარტნიორი. 6 თვეში ერთხელ აუცილებლად უნდა მოხდეს სპირალის შემოწმება. სპირალი სპერმატოზოიდების აქტივობას თრგუნავს, კვერცხუჯრედს კი განაყოფიერებისგან, ხოლო უკვე განაყოფიერებულ კვერცხუჯრედს საშვილოსნოზე მიმაგრებისგან იცავს. სპირალის ჩადგმა მცირედ დისკომფორტს იწვევს, რომელიც პროცედურის დასრულებისთანავე ქრება. ეს მოწყობილობა ქალს არც ფიზიკურ აქტიურობაში, არც სქესობრივ კავშირში არ უშლის ხელს.

***– რა არის ადგილობრივი მოქმედების კონტრაცეპტივები?***

– ეს არის კრემები, საცხები, აბები, სპერმიციდებით გაჟღენთილი ღრუბელი, რომელსაც საფრანგეთში სტუდენტურ კონტრაცეპციასაც ეძახიან. ის უსაფრთხოა, თუმცა ხშირი გამოყენება იწვევს დისკომფორტს. ის უფრო იშვიათი კავშირებისთვისაა.

***– ბევრი ქალი ამტკიცებს, რომ ძუძუს წოვება დაორსულებისგან იცავს...***

– დიახ, ნამდვილად იცავს, მაგრამ მხოლოდ 6 თვემდე და ისიც მაშინ, თუ ბავშვს მხოლოდ ძუძუს აწოვებს და თანაც ყოველ 3 საათში ერთხელ.

***– რა ასაკიდან შეიძლება კონტრაცეპტივების გამოყენება?***

– ჰორმონალური ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების მიღება 18 წლიდან არის დასაშვები. ზედა ზღვარი კი არ არის შეზღუდული.

***– თვითნებური შეწყვეტა აბების მიღების დროს რა გართულებას იწვევს?***

– ხშირია, როცა ქალები თვითნებურად წყვეტენ აბების მიღებას. არასტაბილურად აბების მიღება ძალიან დიდი დანაშაულია. როცა აბებს იღებთ, საკვერცხეებს თიშავთ. თუ თქვენ 3 თვე სვამთ აბებს და შემდეგ 2 თვე აღარ იღებთ, ყველაფერი თავდაყირა დგება. სასურველია, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები ექიმის დანიშნულების მიხედვით მიიღოთ და სისტემატურად შეამოწმოთ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

***– რა არის თვითნებური კონტრაცეპცია?***

– ეს არის სტერილიზაცია. თუ დაორსულებას ნამდვილად აღარ აპირებთ, შეგიძლიათ, სტერილიზაციის მეთოდს მიმართოთ. ამ შემთხვევაში ადამიანი მცირე ოპერაციული ჩარევის შედეგად სამუდამოდ კარგავს განაყოფიერების უნარს. არსებობს როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა სტერილიზაცია. ქალებს ოპერაცია ლაპაროსკოპიულად უტარდებათ, ძალიან მცირე განაკვეთიდან ექიმი მუცლის ღრუში შედის და კვერცხსავალ მილებს ბლოკავს.

## სპორტი

# ხუან ბერნატი: „ბაიერნი ლაიპციგს არ უყურებს“



ხუან ბერნატი სიამოვნებას ყველაფრისგან იღებს – ვარჯიშებზე მხიარულად გამოიყურება, პოზიტიურია მატჩებში და მოღიმარი – ინტერვიუს დროს. მიუნხენში მძიმე მე-2 სეზონის შემდეგ 23 წლის ფეხბურთელს ამ სეზონზე შესანიშნავად მისდის საქმეები.

ინტერვიუში ბერნატმა, თავისი გოლეადორული ნიჭის გარდა, მოახლოებულ თამაშებზე თავისი აზრი გააზიარა.

***– ფანკლუბში სტუმრობისას შენ საჩუქრად შენივე მაისურის ფორმის ტორტი გადმოგეცა. როგორი გემოსი იყო, თუ მოგეწონა?***

– ძალიან გემრიელი იყო. მართლაც გამიხარდა ამ საჩუქრის მიღება. სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. ტორტი ჩემს ოჯახის წევრებს გავუნაწილე, რომლებიც მე მსტუმრობდნენ.

***– ცოტა ხნის წინ ინტერვიუ გერმანულ ენაზე წარმართე. უკვე საკმაოდ კარგად ლაპარაკობ.***

– გმადლობთ, მაგრამ ცოტა ვნერვიულობდი. როდესაც გერმანულად ვლაპარაკობ, ყოველთვის ვნერვიულობ. ყოველდღიურ ცხოვრებაში ვცდილობ, რაც შეიძლება მეტად გერმანულ ენაზე ვიურთიერთო. თუ არ გამომდის რაღაცის ახსნა, მაშინ ინგლისურზე გადავდივარ. ეს ადვილი არ არის, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მივიწევ.

***– როდესაც მინდორზე ხარ, ჩანს, რომ უფრო და უფრო უკეთესად გრძნობ თავს.***

– ამ სეზონზე არცთუ ისე ხშირად მაქვს ნათამაშები და ჯერ საუკეთესო ფორმაში არ ვიმყოფები. ჯერ კიდევ არ მყოფნის რიტმი, მაგრამ ყოველ ჯერზე, როდესაც მინდორზე გავდივარ, უკეთესობას ვგრძნობ, ყოველთვის ვცდილობ, გუნდს დავეხმარო. ახლა ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ.

***– ძლიერი პირველი სეზონის შემდეგ, მე-2 წელს, ვერ შეძელი ფორმის აკრეფა. რა იყო ამის მიზეზი?***

– წინა სეზონზე ჩემი ფიზიკური ფორმა ძალიან შორს იყო იმისგან, რაც პირველ წელს მქონდა. ჯერ 3 თვე ტრავმირებული ვიყავი, შემდეგ კუნთის პრობლემები მაწუხებდა. ამიტომ რიტმის მოძებნა ძალიან გამიჭირდა. ახლა ისევ ისე ვგრძნობ თავს, როგორც პირველ წელს. კარისკენ დარტყმებითაც ვვითარდები.

***– ზამთრის პაუზამდე კიდევ რამდენ გოლს უნდა ველოდოთ შენგან?***

– წინა 2 სეზონში მხოლოდ 1 ბურთი გავიტანე, ამ სეზონში კი უკვე 2 დავაგროვე, მაგრამ კვლავ მსურს, გავიტანო. განაპირა მცველის რანგში ხშირად არ გეძლევა კარისკენ დარტყმის საშუალება. ეს ჩემს მთავარ ამოცანას არ წარმოადგენს, მაგრამ ცდას მაინც გავაგრძელებ.

***– ბუნდესლიგაში ამ მომენტში ცხრილში ლაიპციგი ლიდერობს, რომელიც წინა სეზონზე მე-2 ბუნდესლიგაში ასპარეზობდა. რამდენად ხარ გაკვირვებული?***

– რა თქმა უნდა, ეს სიურპრიზია, თუმცა მათ რამდენიმე თამაშს ვუყურე და, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ კარგი გუნდი ჰყავთ, სწრაფი ფეხბურთელებით, მაგრამ ჩვენ ლაიპციგს კი არ უნდა ვუყუროთ, არამედ – ჩვენს თავს. უბრალოდ, ჩვენი სამუშაო უნდა შევასრულოთ.

***– მომდევნო სამშაბათს „ალიანც არენაზე“ ატლეტიკო გეწვევათ. ტურნირიდან გამომდინარე, ამ მატჩს მნიშვნელობა არ აქვს. რას ელოდები ამ თამაშიდან?***

– იმის გარდა, რომ ატლეტიკო ტოპგუნდია, პირადად ჩემთვის ესპანურ გუნდებთან თამაში ყოველთვის განსაკუთრებულია. წინა წელს მათ ჩემპიონთა ლიგიდან გამოგვთიშეს, ამ სეზონზე კი ჯგუფის გამარჯვებულები გახდნენ, რითაც ჯგუფში ბრძოლა დასრულდა, მაგრამ ჩვენ, ამის მიუხედავად, მაინც გამარჯვება გვწადია. ეს გამარჯვება გულშემატკივრებს გაახარებდა და ჩვენ კი თვითრწმენას შეგვმატებდა.

# სანტი კასორლა 3 თვეს გამოტოვებს



ლონდონის არსენალის ესპანელი ნახევარმცველი სანტი კასორლა სამი თვის მანძილზე ვერ შეძლებს მოედანზე გამოსვლას. ამის შესახებ ინფორმაცია ინგლისურ პრესაში გავრცელდა. კასორლამ ტრავმა 19 ოქტომბერს, ლუდოგორეცთან შეხვედრისას მიიღო და მას შემდეგ მოედანზე არ გამოჩენილა. სავარაუდოდ, სანტის ოპერაციაც დასჭირდება, ხოლო შემდგომ კი ხანგრძლივი სარეაბილიტაციო კურსი. კასორლას არყოფნა არსენალისთვის მნიშვნელოვანი დანაკლისია, რადგან ესპანელი ფეხბურთელი არსენალის ნახევარდაცვის ერთ-ერთი ლიდერია. კასორლა არსენალში 2012 წელს გადავიდა, მანამდე კი ის ვილიარეალის ღირსებას იცავდა. **ბ. გ.**

## კალეიდოსკოპი

# ავსტრალიელებმა უალკოჰოლო ქორწილი გადაიხადეს




ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს, საკუთარი საქორწინო ცერემონია ალკოჰოლიანი სასმელების გარეშე ჩაეტარებინათ.

24 წლის კრისტო და 23 წლის ჰანა უილკენებმა მოკრძალებული საქორწინო ცერემონია გამართეს, რომელზეც ასამდე ადამიანი იყო მიწვეული. აღსანიშნავია, რომ ახლადშეუღლებულები ქრისტიანულ ოჯახში გაიზარდნენ და უალკოჰოლო ქორწილის გადახდის იდეას სტუმრები დადებითად შეხვდნენ.

– ეს გადაწყვეტილება ერთობლივად მივიღეთ. ორივეს ასე გვსურდა. იმედი გვქონდა, რომ ჩვენი ქორწილის დღეს არავის სანერვიულო არაფერი ექნებოდა და არც არაფერზე შეწუხდებოდნენ, – განაცხადა პატარძალმა.

წყვილმა ზეიმი მდინარის პირას, სუფთა ჰაერზე გამართა, სადაც ისინი და მათი სტუმრები სხვადასხვა თამაშით ერთობოდნენ და ბუნებით ტკბებოდნენ.

# ჩინეთში ბავშვი სარეცხ მანქანაში გაიჭედა




ჩინეთში მეხანძრეებმა გადაარჩინეს ორი წლის გოგონა, რომელიც სარეცხ მანქანაში გაიჭედა და რომელშიც საშრობიც იყო ჩამონტაჟებული. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი სააგენტო ავრცელებს.

ინციდენტი ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ უჩჟუნში მოხდა. გამოძახებაზე მისულ მეხანძრეებს სარეცხ მანქანაში მტირალი ბავშვი დახვდათ. როგორც ჩანს, გოგონა საშრობ განყოფილებაში ჩასატვირთი ლუკიდან ჩაძვრა და გაიჭედა.

სიტუაციის აწონ-დაწონის შემდეგ მეხანძრეებმა გადაწყვიტეს, მანქანა დაეშალათ და საშრობი განყოფილება ამოეღოთ. მეხანძრეებმა გოგონას გათავისუფლებას 20 წუთი მოანდომეს. ბავშვი არ დაშავებულა.

# იაპონელმა პენსიონერებმა ჰიპ-ჰოპი იცეკვეს



სამმა იაპონელმა ქალმა ამერიკელი მომღერლის ბრუნო მარსის კომპოზიციის თანხლებით ჰიპ-ჰოპის სტილში იცეკვეს. ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე იქნა განთავსებული.

ჩანაწერის პირველ ნაწილში ქალები კიმონოში გამოწყობილნი ცეკვავენ, ხოლო მეორე ნაწილში მათ სპორტული სტილის ტანსაცმელი აცვიათ და მოძრაობებს უკვე სხვა მონაწილეებთან ერთად ასრულებენ. როგორც ვიდეოსთვის დართულ კომენტარშია მითითებული, ქალების ასაკი 60 წელს აღემატება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# TV პროგრამა

## ორშაბათი 5 დეკემბერი

**06.00** მუსიკა პირველზე **07.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ტრიუმფი**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.00** "X სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **00.00** მხ/ფ "**ერთხელ წრეზე**"

**08.00** დ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება" **09.00** დ/ფ "ლეტიცია და მისი მეღვინე" **10.00** დ/ფ "ჩერჩილის გამონეტვა" **12.00** ტ/სერ. "**ბულის მუსია**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "შიგნიდან დანახული კონკორდია" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**კრიმინალური სეზონი**" **23.00** "მოამბე" (3 ენებზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **23.00** მხ/ფ "**შავ-თეთრი**" **01.00** მხ/ფ "**მთელი ცხოვრება მის თვალწინ**" **02.45** მხ/ფ "**დაუჯერებელი სიყვარული**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს ბალია**" **22.00** ნიჭიერი **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ავატარი**" **9.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.00** სერ. "**ლურჯის ელფერები**" **23.00** სერ. "**მისტერ რობოტი**" **0.00** სერ. "**ქერჩი**" **1.20** მხ/ფ "**მეფე არტური**"

**06.15** ღვთის სახლი **06.35** პატრიარქი-დაფარულთა მცნობელობის შესახებ **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 21.05** ... **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "გობელენი და მინანქარი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.50** სპექტაკლი "ბრძოლა ტახტისთვის" **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლეები **19.30** ბიბლია ბავშვებისათვის **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში (ციკლური გადაცემა) **20.40** ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი" **21.30** პატრიკი-გლახაკების მიმართ მოწყალე ასმაგად მიიღებს **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა (ციკლური გადაცემა) **22.15** საქართველოს სამართლის ისტორია **22.15** ქრისტიანული სწავლება **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები (ციკლური გადაცემა) **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ქვიშანი დარჩებიან **01.00** დ/ფ "მელოურის მღვიმე" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

